



ივერია

ეროვნული დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა

№21

IVERIA

EDITION PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

შ ი ნ ა ა რ ს ი

ოცდაექვსი მთისი

ნაციონალური პრობლემა რუსეთის იმპერიასადა საბ. კავშირში --- შალვა კალანდაძე.

ფიქრები საქ. დამოუკიდებლობის სამოცდაერთ წლისთავზე ----- გივი გაბლიანი.

გამსახურდიას და კოსტავას პროცესი ----- გ. პ.

გვებრლებოდნენ გლახაკი სულითა ----- მიხეილ ქავთარაძე.

საჟირო გასწორება ----- მ. ქ - ძე.

ა. ბარკალაიას წიგნი ----- ა. ა- ძე.

ქ რ თ ნ ი კ ა .

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო .

M A I 1979 P A R I S





ო ც და ე ქ ვ ს ი მ ა ი ს ი .

დრონი, გარემოებანი და აზროვნებანი იცვლებიან, მაგრამ არ იცვლება ერთი აზროვნება — ერთი შემეცნება, მუდმივი და უზრუნველი ოცდაექვსი მაისი. ქართველი ერის ეროვნული ღირსების და ეროვნული თავმოყვარეობის აღდგენის სიმბოლო. ერი სრულიად თავისებური ისტორიული სინამდვილის ნაშობია და მისი საიდუმლოება მიუღწეველია მათთვის, ვინც მოკლებულია ისტორიულ სინამდვილის გრძნობას და ვერ გაცოლებიან აბსტრაქტულ სოციოლოგიურ კატეგორიებს. აბსტრაქტულ სოციოლოგიურ მსოფლშემეცნების მიმდევარათ არ ძალუძთ ნაციონალური ყოფის გაგება, რადგან ისინი ერს შლიან აბსტრაქტულ სოციოლოგიურ ელემენტებად. ხოლო მათი ანალიზის შემდეგ არაფერი რჩება. და ეს უბრალოდ იმ მიზეზით. რომ ერის რაობა არავითარ რაციონალურ განსაზღვრას არ ემორჩილება. ერი არ არის აწმყუ თაობა, არც ყველა თაობის ჯამი. ის არ არის შესაყრები, ისაა თავდაპირველი, დასაბამიერი, ისტორიული პროცესის მუდამ ცოცხალი სუბიექტი. ერში ცხოვრობენ შორეული წარსულის თაობანი არა ნაკლებ, ვიდრე თანამედროვენი. ნაციონალური არის ებრძვის დროს. ის იბრძვის—რათა აწმყუ არა და მომავლის მიერ არ შეთანთქმას წარსული.

ნაციონალურთ უფრო დრმა, ვიდრე სოციალური გარსი. ერი არ არის ესა თუ ის კლასი, არ არის ამჟამად მცხოვრებ ადამიანების ემპირიული რაოდენობა. ერის ნებისყოფა გამოთქმულია ართმეტიკულად. — რაოდენობრივად. მის ნება—სურვილი შეიტყველებენ არა მხოლოდ ცოცხლები, არამედ გარდაცვლილებიც, მეტყველებს დიადი წარსული. და ჯერ კიდევ გამოუღწეობი მომავალიც. წარსული შედარებით არის წარსული. შეუძლებელია აწმყუსაგან წარსულის მოწყვეტა, სანამ არსებობს ის არსი, რომელმაც წარსულის შარა—გზა გაიარა. ყოვლის ამტან. ყოვლის გამძლე და ყოვლის მხილველ მატთანეს საქართველო — ჩვენთვის წარსულია და ამჟამად არასებური, მაგრამ მის მიმდინარებაში ქართველი ერის მიერ განაცადი ლხინი თუ კირი ჩვენს ზნესა, ხასიათსა და აზროვნებაშია დრმად ჩაქსოვილი. ეს იყო თავმდევი და საწინდარი იმისა, რომ ჩვენ გავუძელით ფანატრიკოს აღმოსავლეთს და უკანასკნელ დროს, რუსეთის იმპერიის უღმობელ წინებას—იმპერიის, რომელიც მუდმივ აუტლურება და ასუსტება ქართველი ერის სულიერსა და სხეულერბოვ ძალებს.

მუდმივ რომ ბოროტება და გასაქანს არ ძალუძდა ეროვნულ განვითარებას— მუდმივ რომ ნერგავდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების დაშლისა და გაპარტახების თესლებს.

რუსეთის იმპერიის ჩანაფიქრის წარმატება არ ელირსა. ათას ცხრაას თვრამეტ წელს ოცდაექვსი მაისს, ქართველი ერი, ახალი სულით, ახალი გრძნობითა და ახალი აღტყინებით შეხვდა. იგი დრმად ჩაიქედა თითოეული ქართველის სულსა და გულში.

ოცდაექვსი მაისის მთელი ერი მიენლო ერთობლივად, ეთაყვანა მას, რადგანაც ეს დღე გაუთენდა მას, ვითარცა მისი ეროვნული ყოფის, ეროვნული სახიერების და იმედის აღდგენის მხარრობელი.

რუსეთის იმპერიის ზმის მიმართ მის მიერ დამპყრობილ ერების დამოკიდებულება ნათელია და გარკვეული. იგი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოიხატება. ასეთივე განწყობილებაა თვით კომუნისტურ ქვეყნებში, სადაც საბჭოთა კავშირის ხალხებთან შედარებით, კიდევ აქვთ ხმის ამოდების შესაძლებლობა,

შესაძლებლობის დარღვევებითა, რომ იმპერიისა და რეჟიმის დამხობა ერთსა და იმავე ხანაში მოხდეს, რადგან თვით რუსის ხალხსაც ბოლოსდაბოლოს აღარ შეუძლია ამდენი წინების ატანა. რაც შეეხება დამპყრობილ ერებს, ესენი არასოდეს არ ყოფილან ისე მოწადინებული და მზად დამოუკიდებლობის აღსადგენად, როგორც ამჟამად არიან.

რუსეთის იმპერი ' მოშლა—დაშლა აუცილებელია. ასეთია ბედი და ბოლო ყოველი იმპერიისა. მით უმეტეს— საბჭოთა იმპერიის, რადგან ამ უკანასკნელმა იმდენი ხრეში ჩაითრია თავის სადენში, რომ ბოლოს ძულელებული გახდება თავისი კლასიკური დასთმოს.



ასა და საბჭოთა კავშირში.

საგარეო პირობებით დაქუცმაცებული საქართველოს სხეული, მეფის რუსეთის უღლის ქვეშ გაერთიანდა. ეს გაერთიანებული საქართველო მოკლებული იყო სახელმწიფოებრიობას და ის რუსეთის იმპერიის ოლქების და გუბერნიების შეადგენდა. თუმცა ასეთ ვითარებაშიც შეიძლება საქართველოს სული მოეთქვა, წილში გამართულიყო და მოღონიერებულიყო, რის შემდეგ ერი კვლავ მიჰყოფდა ხელს ძველებურად ამ მიმე უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას. მეფის რუსეთმა დაუნდა ეს გარემოება და იმთავითვე შეუდგა ერის გამაერთიანებელ ფაქტორების დაშლასა და განადგურებას. პირველი - რასაც ის ეტაცა ვახლდით ივერიის ეკლესია, რომელიც იყო ქვეყნობიერი ეროვნული მდიდარობისა და ერთობის კერისა საქართველოში პოლიტიკურ დაქსაქსულობის ხანაში. ივერიის ეკლესია მეფის რუსეთმა მაქსიმალურად დააუჭურა. საქართველოში არსებული აღმინისტრაციული მართვლობა ველურის უხეშობით რუსულ პოლიტიკური წესებით შეცვალა; ქართული კანონები განდევნა სასამართლოდან და რუსული კანონები შემოიღო და სასამართლოში წყობაც რუს მოხელეებს ჩააბარა. სასამართლოში ბატონდება რუსული ენა. ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი ერის ცხოვრების სხვა სფეროებში. ქართულ ენას აძევებენ სკოლებიდან და ეკლესიიდან. მოკლედ - ქართულ კულტურის განვითარებას უჭმინან; იეთ პირობებს, რომ მას უნდა დაეკარგოს ერის სულიერად და მორალურად გამართლების მნიშვნელობა. საქართველოს მოსახლეობას უთხოვდა აქრელები და ამისთვის თურქეთთან ომების შემდეგ, ქართველ მამადიდებლებს თურქეთში ერეკებიან, საქართველოს კი რუსებთან ავსებენ. კიდევ მეტი, რუსეთი ანაწილებს ქართველ ერს და ქართლებს, კახელებს, იმერლებს, მეგრელებს სხვადასხვა ერად აცხადებს. აქარლებს რასაკვირველია, თურქებად თვლის, მეგრელებს საკუთარ ანბანს უდგენს და ასე შემდეგ. ამ დონისძიების მიზანია ქართველი ერის სულიერი ერთობის მოშლა და მის მაგიერ კუთხური დანაწილების დაწესება, რომ საქართველოს ეროვნული პატრიოტიზმი კუთხური პატრიოტიზმით წაშალოს და დაამარცხოს. ერთი სიტყვით, მეფის რუსეთის მიზანია - ქართველი ერის სულიერად და სხეულებრივ წაახდენა, რომ მას დაეკარგოს გზა და კვალი და მწარე ბედისწერისაგან თავისდაღწევის იმედიც.

მეფის რუსეთი არც მალავდა, რომ მისი მიზანი იყო ინოვაციებს შორის „განათლების“ გავრცელებით მათი გარუსება. 1870 წლის ორი თებერვლის სწავლა-განათლების სამინისტროს ერთნაღი წერდა: „ჩვენი სამშობლოს ფარგლებში მცხოვრებ ინოვაციებს შორის სწავლა-განათლების გავრცელების მიზანია - უდაოდ - მათი გარუსება და რუსის ხალხთან შერწყმა“.

მეფის რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ კომუნისტები ყველა საშუალებას მიმართავდნენ და მათ შორის ნაციონალურ პრობლემასაც. როგორც ყველა სოციალისტურ პარტიასმ ბოლშევიკებსაც თავიანთ პროგრამაში მიღებული ჰქონდათ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. რევოლუციის შემდეგ იმპერიის ყველა ერმა „გამოარკვია“ თავისი მდგომარეობა, ე. ი. ყველამ დამოუკიდებლობა აღიადინა თუ გამოცხადდა. მათ უარი უბასუხეს რუსეთში დამყარებულ ბოლშევიკურ რეჟიმს. ბოლშევიკური რუსეთისათვის ერთა დამოუკიდებლობა მიუღებელი აღმოჩნდა და სულ მალე ყველა ანგარიში გაუსწორა - დაიპყრო და ისევ ძველი რუსეთის იმპერია აღადგინა. ლენინს არაერთხელ განუცხადებია, რომ ბოლშევიკები ერთა თავისუფლებას ცნობენ - ხოლო შეთანხმებით კომუნისტების პრინციპებთან. კომუნისტი კი მოითხოვს კომუნისტურ საზოგადოების დასაარსებლად: ერთა შერწყმას, სადაც ერთა დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. კომუნისტებიც ამ მიმართულებით მუშაობენ.

ბერკი ფიქრობს, რომ საბჭოთა იმპერია თავისებური, ახალი ტიპის იმპერიაა. და მართლაც მორტოვებურად, გარეგნულად ასე გამოიყურება. მაგრამ ძველსა და ახალს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. წინეთ და ახლაც ასიმილაციის პოლიტიკა; ადგილობრივი ეკონომიური სისტემის რუსეთის ეკონომიურ ინტერესთათვის დამორჩილება; დაპყრობილი ქვეყნებში რუსების ნებსება თავისი მნიშვნელობა თანდათანობით უნდა დაქარგონ. ყურნალი „კომუნისტი“ წერდა: „მომავალი შერევა-ათქვეფა ერებისა გულისხმობს ერთი ენის დაშვიდებლას... პროცესი ენათა დაახლოვებისა მოედება მომავალში ყველა ხალხს“. ო. მოკლედ, მოსკოლოში უნდა გაბატონდეს რუსული ენა.

თუ რამდენად იზრდება რუსული ენის გაძლიერება ეს გარკვეულად მოსჩანს ნაციონალურ ენებზე გამოყვებულ წიგნებისა და ჟურნალების რაოდენობიდან. 1950წელს არარუსულ ენ-



ოგანი გამომცემლობა ძლივს აღწევდა ოცდარვა პროცენტს, ორმოცდათექვსმეტ წლისათვის იგი ოცდახუთ პროცენტზე დავიდა ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ხუთმეტ პროცენტამდე დაეცა. თუ გავიხსენებთ, რომ გამომცემლობა უმთავრესად რუსულიდან თარგმანი ვახლავთ, ყველაფერი გასაგები იქნება.

უფრო ტრადიკულად გამოიყურება რესპუბლიკებში ცენტრალურ რუსეთიდან ჩასახლების ამბავი. რამდენიმე ხნის წინად „პარავდა“ კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ასიათასობით მუშები და სპეციალისტები მოვიდნენ ყაზახეთში რუსეთის ფედერაციის ქალაქებიდან და სოფლებიდან. მათ თავიანთი თავდადებული შრომით დაუფასებელი განძი შეიტანეს ყაზახეთის ხორბლეულობის მეურნეთა სოციალისტურ ვალდებულების შესრულებაში“. რა დაუჯდა ეს ყაზახეთს? ამჟამად მათი რიცხვი საკუთარ ქვეყანაში ოცდარვა პროცენტს შეადგენს. დანარჩენნი კი — მოსულები, ცხადია ლაპარაკობენ რუსულად, ამტკიცებენ რუსულს ადგილობრივთა შორის და მოსულებათვის რუსული სკოლებია გახსნილი. ანალოგიური ვითარებაა მეტად თუ ნაკლებად სხვა რესპუბლიკებშიც.

მსგავსად რუსეთის საიმპერიო მწავრული პოლიტიკისა — ქრემლის მეთაურობა ცდილობს ქართველი ერის სულიერად მოშლასა და კუთხურად დანაწილებას. ამგვარ პოლიტიკურ მიანიშნულაციის ნიმუშად ჩაითვლება აფხაზეთის საქითხი, რომლის განხილვაში მონაწილეობა მიიღო საკავშირო კომიტეტის მდივანმა კაპიტონოვმა.

ეს მოსკოვის წარმომადგენელი აფხაზეთში იმიტომ ჩაბრძანებულა, რომ საჩივრები მოდიოდალ აქაურ მოქალაქეთაგან ცენტრალურ ხელისუფლებას — ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე. ფაქტი საბჭოთა კავშირისათვის მეტად უცნაური. ყირიმელი თათრები, მესხები, ვოლგის გერმანელები, ლიტველები და სხვები სისტემატურად ჩივიან და უკმაყოფილებას გამოთქვამენ მათდამი უსამართლო მოპყრობისა გამო, მაგრამ ამ საჩივრებს პასუხის ღირსადაც არ ხდის მოსკოვი, არ იწვევს კრებებს მათი მათი საჩივრების გასარჩევ — შესამოწმებლად. ესე — იგი გამოსარკვევად იმისა — იჩაგრებიან ეს ხალხები თუ არა. მაგრამ კაპიტონოვმა აფხაზეთს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთი მოსახლეობის თექვსმეტ პროცენტს შეადგენენ, რიცხვით 83 000, ხოლო საქართველოს მოსახლეობაში კი 1,7 პროცენტს. მიუხედავად მათი მცირერიცხოვნებისა აფხაზეთს შეინახეს თავიანთი ენა და ქართველებთან ასიმილაციაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ავტონომიურ რესპუბლიკაში მათ საბასუხისმგებლო პოსტები უჭირავთ, თუმცა იქ მცხოვრები ქართველები მოსახლეობის ორმოცდაერთ პროცენტს შეადგენენ. და უცხად იფეთქა სებარატისტულმა განწყობილებამ. უმჯობესია საქართველოსაგან ჩამოშორება და რუსეთის ფედერაციაში შესვლა. და ამ ამბავს ადვილი აქვს სწორედ მაშინ, როცა ქართველები პროტესტს აცხადებენ ქართული ენის აპარაობამდე დაყვანის ცდის წინააღმდეგ. ამ დროს სცენაზე გამოდის კაპიტონოვი და აცხადებს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გაარჩია აფხაზეთის საჩივრები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აფხაზეთში საემარისი ყურადღება არ ექცეოდა ნაციონალურ კულტურას და ენას და რომ უყურადღებოთ იყო შიტოგებული აფხაზური ნაციონალური კადრების მომზადება. ერთი სიტყვით, როცა საქირთა ქართველების ნაციონალური მდელვარების დაწყება — მოსკოვი ადვილებს აფხაზთა შორის ანტიქართულობას, ხოლო ყირიმელ თათრებს, ვოლგის გერმანელებს, ლიტველებს და სხვა ხალხებს კი კისერიც უტეხიათ.

მოსკოვის ამგვარ მიხინების მიზანია უნიფიცირებული ყაზარმის შექმნა, სადაც ყოველი ერის ნაციონალური სული და კულტურა ჩაკლული იქნება — გარდა რუსულისა.

აი ამ დროს, როცა ერის არსებობა საფრთხის წინაშე დგას — საქართველოში ეროვნულნი — ბილიზმის უგუნური ბაიყუშები გამოდიან და დიდი რიხით წერენ: „სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში სამუდამოდ გადაპირილია ეროვნული საკითხი“. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ გაცუდლებული უცნაური ჯიშის ხალხის კდნიერებასა და უპატიებელ საქციელს ქართველი ერის საუკეთესო შვილებმა საკადრისი პასუხის ვასცეს 1978 წლის თთხმეტ აპრილს.

შ ა ლ ვ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე .



ფიქრები საქართველოს დამოუკიდებლობის სამოცდაერთ წლისთავზე.

1939 წელს როდესაც წითელი არმია ფინეთს შეესია, ამ უთანასწორო ომის დროს, მცირერიცხოვანმა ფინეთმა თავისი სიზამაცით და თავდადებით, მსოფლიოს სულიერი საწარმო - ხოლო დაჩაგრულ ერებისმდე მისცა. გასული წლის დეკემბერში 4 675 000 მათი ფინელიადღესასწაულა რუსეთისაგან დამოუკიდებლობის სამოცი წლისთავი. ამ სამოცი წლის განმავლობაში ფინეთმა დამატეცა თავისუფალ ადამიანის შემოქმედებითი უნარის მაღალი ხარისხი - არა მხოლოდ წარსული ომის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც, მიღწევათა მთელი რიგით მრავალ დარგში. ქართველებს, რუსულდათათანსამხრეთიდან მეზობლებს, განსაკუთრებული პატივი სცემა და სლიდარობის გრძნობა აქვთ ფინების მიმართ. ამ ორი ერის ისტორიაში მრავალი პარალელია. ორივენი საუკუნეთა განმავლობაში თავს აცავდნენ მრავალრიცხოვან მტერთაგან. ორივე რუსეთის ექსპანსიამ იმსხვერპლა მეცხრამეტე საუკუნეში. რევოლუციის შემდეგ ორივემ აღდგინა დამოუკიდებლობა. გარნა სამი წლის შემდეგ, ჩვენი ზელი, ფინეთმა ბედისაგან განსხვავებულად წარამართა - ჩვენ კვლავ რუსეთის მსხვერპლი გახვდით - ამბობდა წითელისა. საბედნიეროდ, დასავლეთზე ზურგიით მიყრდნობილ ფინეთს იმ დროს შეტევა ასცდა. ჩვენი იმდროინდელი მარცხის მიზეზები ჯერ კიდევ კვლევის საგანია შემატეიანის საბოლოო სიტყვა ჯერაც არ უთქვამს. ქართველი ერი მის დაპყრობას არ შერიგებია, ამის საბუთი მრავალია.

ფინეთში თვრამეტე წლის განმავლობაში იმუშავა სიმშვიდეში ტყვეყნის შენება - განმტკიცებაზე და მხოლოდ 1939 წელს განიცადა მასიური თავდასხმა წითელი არმიისა. იმ დროს რუსეთმა შესძლო დაპყრობა ფინეთის ტერიტორიის მხოლოდ ერთი მეათედისა. ორმოცდაერთ წელს ფინებმა გერმანელთა დახმარებით, ბრძოლით დაიბრუნეს წართმეული მიწაწყალი, გარნა სამი წლის შემდეგ მათ იგი ისევ დაჰკარგეს გერმანელთა უკანდახვევის გამო.

უკანასკნელ ომის დროს იმპერიის ყველა ერები შეეცადნენ თავისუფლების მოპოვებას, მათ შორის - ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, უკრაინელები და კავკასიელები. თვით რუსი მოსახლეობის დიდი ნაწილიც, პირველ ხანებში, გერმანელებს ვით გამანათავისუფლებლებს პურმარილით ეგებებოდა. რუსები იმედოვნებდნენ, რომ პირველ რაგვას, ტერორს და კოლხოზებს მაინც მოიშორებდნენ. ტყვეთა შორის მრავალი ათასი მზად იყო გერმანელებს დახმარებოდა. გერმანულმა სარდლობამ საკუთარი ინიციატივით და დასაწყისში ჰიტლერის ათვის შეუტყობინებლად, ტყვე მოხალისეთაგან დახმარა და სამხედრო ნაწილები ჩამოაყალიბა. მათი რიცხვი მოგვიანებით საგრძობლად გაიზარდა.

იმ დროს ვაგვენიან გერმანელთა შორის მოიპოვებოდა ისეთი პირები, რომელნიც ჰიტლერის პოლიტიკას და მოვლებს დაპყრობილ ტერიტორიათა მიმართ არ იზიარებდა და მის შეცვლას ცდილობდა. მათ შორის იყვნენ: გრაფი შულენბურგი - საგარეო საქმეთა სამინისტროს დიდი მოხელე, გრაფი შტაუფენბერგი - გენერალური შტაბიდან, გენერალი კოესტრინგი - მისი თანამშრომლებით, პოლფსორი ფონ მენდელ - აღმოსავლეთის სამინისტროდან, პოლფსორი ობერლენდერი და სხვები. ქართველების ძველმა მეგობარმა გრაფ შულენბურგმა, რიბენტროპის ხელით, ჰიტლერს გეგმა წარუდგინა, რომლის მიხედვით გერმანელებს თავი საბჭოთა კავშირის ერების განმთავისუფლებლად უნდა გამოეცხადებიათ. დაპყრობილ ტერიტორიებზე კოლხოზები გაეუტყებიათ, ხალხს თვითმართველობის და უფრო გვიან, ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება უნდა მისცემოდა. ჰიტლერმა ეს გეგმა არ მიიღო.

როგორც ვიცით ამ დროს ფინეთი გერმანიის გვერდით იბრძოდა - არა იმიტომ რომ ჰიტლერის მიუღებელ იდეებს იზიარებდა, არამედ იმიტომ, რომ ფინეთს დროებითი საერთო ინტერესები ჰქონდა გერმანიასთან - სახელდობრ რუსების განდევნა ფინეთის ტერიტორიიდან... ასეთივე მოტივით იყვნენ ამერიკა და ინგლისი რუსებთან დაკავშირებულნი.

ამ გაართულებულ მდგომარეობის დროს წაივია მკვენი გემბეკორი ფინეთში - ძველი მეგობრის მარშალ მანერჰაიმის სანახავად. გემბეკორმა ფინეთის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს სთხოვა რათა იგი ცდილიყო, რომ ჰიტლერისათვის შეეცვლინებოდა მისი აღმოსავლური პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდებოდა, რადგან გერმანელები სწრაფად უახლოვდებოდნენ კავკასიას. ამავე მოსაზრებით - ქართველ ტყვეთა და ქართულ ინტერესთა დასაცავად, მრავალი ქართველი ემიგრანტი მოხალისედი ჩაეწერა გერმანულ ჯარში - რათა მათთან ერთად შესულიყო კავკასიაში. მანერჰაიმმა გემბეკორის თხოვნა დასრულა, მაგრამ მან ჰიტლერზე ამ მიმართულებით ვაგვენის მოხდენა ვერ შესძლო. ჰიტლერის ასეთი პოლიტიკის გამო შექმნილი ტრაგედია დაპყრობილ ტერიტორიათა მოსახლეობისათვის და გერმანულ ჯარში შესულ მოხალისეთათვისაც კარგად ცნობილია. მიუხედავად ამისა ეს იყო უანგარო ბრძოლა თავიუფლებისათვის.

დღეს როდესაც ეროვნულ თავისუფლებას იღვან მსოფლიოში თავმოყვნილად დანაგარდობს, დასავლეთის კოლონიალურ პოლიტიკას ბოლო მოეღო და მრავალმა აქამდე უცნობმა პატარა აფრიკულ აზიურმა ერმა დამოუკიდებლობა მიიღო, მხოლოდ რუსეთი დარჩა წითელ კოლონიალურ იმპერიადა. თვით გულუბრყვილო დასავლეთისათვისაც კი ცხადი გახდა, რომ კრემლი მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობებს და იდეოლოგიას რუსულ იმპერიალისტურ ინტერესებისათვის იყენებს.

სტალინ-ტიტოს შორის კონფლიქტმა, უნგრეთის სისხლიანმა ამბებმა, და ჩეხოსლოვაკიის ვითარებამ, დასავლეთს დაანახა ის, რაც ქართველებმა და რუსეთის მსხვერპლმა სხვა ერებმა უკვე დიდი ხანია ვიცოდით.

რუსმა კომუნისტებმა არათუ მათი „იდეოლოგიური ბიძაშვილები“, ქართველი სოც. დემოკრატები არ დაინდეს, არამედ მოგვიანებით, თავიანთი პარტიული მეგობრები ქართველი ტიტოები და ლუბჩეკები უკლონისტებად გამოცხადებულნი, ფიციურად განადგურეს. იმ ფაქტს, რომ სტალინი წარმოშობით ქართველი იყო ამაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. სტალინი ისევე როგორც კორსიკელი ნაპოლეონი და ავსტრიელი ჰიტლერი დიდი იმპერიის მმართველი იყო და მისი პატარა სამშობლოს ინტერესები, სხვა უფრო „დიდი“ საქმეს და ამბიციას ანაცვალა. მისმა მემკვიდრეებმა ყველა უსამართლობანი მიცვალებულს დააბრალეს და იმედმოცემული მსოფლიო კრემლის ახალ მესვეურთაგან დიდ ცვლილებებს მოელოდა. გარნა ფრიად ძნელი იქნება სტალინს დააბრალონ უნგრეთისა და ჩეხიის ამბები, — ან მწერლების და ინტელიგენციის წარმომადგენლების ღვენა—დაპატიმრება, თავისუფალ აზრის გამოთქმისათვის.

ქართული საკითხი ეროვნული საკითხია და არა სოციალური ან კლასთა ბრძოლის საკითხი. ოქტომბრის რევოლუცია საქართველოში არ მომხდარა, არამედ მისი „პროდუქტი“ წითელმა არმიამ ცეცხლითა და მახვილით შემოიტანა საქართველოში სადაც დღემდე ამავე ძალის წყალობით არსებობს. ქართულ კომუნისტურ პარტიისათვის რომ, ქართველ ერს თავისუფალ არჩევნების პროცესით დაევალება ქართული დამოუკიდებელი მთავრობის შედგენა, ქართული ემიგრაციონ არც წარმოიშვებოდა. არცერთ ქართველ ემიგრანტს ქართველ კომუნისტთა „განადგურება“ აზრადაც არ მოსვლია. პირიქით!—მეორე მსოფლიო ომის დროს ემიგრაციამ შეიფარა და გადაარჩინა მრავალი ქართველი კომუნისტი. ემიგრაცია მთელ მის არსებობას მანძილზე მწუხარებით თვალს ადევნებდა მრავალ კომუნისტ თუ არაკომუნისტ ქართველის ფიციურად განადგურებას რაც ჩვენითვის, მცირერიცხოვან ერისათვის, განსაკუთრებით მტკივნეულია.

დემოკრატიულ ქვეყნებშიც არსებობენ კომუნისტური პარტიები და მათ არავინ ანადგურებს. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა განადგურება მოდერნულ მსოფლიოს მხოლოდ რუსულ და ჩინურ კომუნისტურ პარტიებში ხდება და პრიმიტიულ ხალხებში თორემ სხვაგან არსად.

საქართველო კიდევ ერთხელ იტანს მას, რაც მრავალჯერ გადუტანია. წარსულში მან გაუძლო მონგოლ ყაენთა ნოინებს თუ შამაზასის ფეოქარხანებს. ხოლო პერიოდ რუსთა ოკუპაციისა იმ ქვეყნის მატრიანსათვის, საიდანაც ოქროს ვერძი მოიტაცეს მხოლოდ ერთი ფურცელია.

საქართველოს დამოუკიდებლობის სამოცდაერთ წლისთავზე სამშობლოზე ფიქრით სულდგმული უცხოეთში მყოფი ქართველობა, თავის ქვეყანას მშვიდობას და ხალხს გამრავლებას უსურვებს. სამწუხაროდ იგი მას ვერაფერს ჰპირდება. მაგრამ ჩვენ უვლანია—აქ და იქ— დარწმუნებულნი ვართ ქართველი ერის ფესვების სიღრმეში, მის სიბრძნეში, ნიქსა და უნარში.

წყალნი წაჯღენ და წამოხლენ ქვიშანი დარჩებიანო.

თუ მსოფლიოს გადარჩენა უწყობა, იგი როგორმე, ერთა თვითგამორკვევის და მათი ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე მოეწყობა, სადაც დიდი ერები პატარებს ვერ დაჩაგრავენ. იქნებ ჩამორჩენილმა რუსეთმა მისი „ცისფერი მუნიციპალიტეტი“, ლერმონტოვის გამოთქმით რომ ვინმე არის, როგორმე ამგვით პროგრესს მიადროს და ამგვარად საქართველოსაც ეშველოს.

ბ ი ვ ი გ ა ბ ლ ი ა ნ ი .



წვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საქმე, რომელთაც ბრალდებულად ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის“ წარმოება, გათვალისწინებული კოდექსის სამოცდამეთერთმეტე მუხ-ლით. სასამართლოს თავმჯდომარეობდა კობახიძე. ბრალმდებლად გამოდიოდა უგულავა. ბრალდ-ებულნი იცავდნენ ალბაწიშვილი და ნიკოლაიშვილი.

წვიად გამსახურდია დაბ. 1939 წელს პელისნიკის ჯგუფის ხელმძღვანელი, ადამიანის უფლებ-ბათა ჯგუფის წევრი, „ამნისტიის“ სექციის წევრი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და ტელი. უნივერსიტ. ლექტორი, დაპატიმრებამდე მუშაობდა აკადემიის უფროს მეცნიერ-თანამშ-რომლად- იყო მწერალთა კავშირის წევრი.

მერაბ კოსტავა-დაბ. 1939 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის წევრიპროფესიით მუსიკათმცოდნე დაპატიმრებამდე მუშაობდა მუსიკალურ სასწავლებელში. ორივე დაპატიმრეს სამოცდამეთერთმეტე წლის შვიდ აპრილს.

სხდომებში მიმდინარეობდა უმაღლესი სასამართლოს შენობაში დარბაზი იტყვდა ასოციალუთ კაცს.სხდომაზე შეშვება ხდებოდა მოსაწვევით ბარათებით, რომელთა შოვნა ძნელი არ იყო, მაგ-ალითად უნივერსიტეტის მასწავლებელთათვის. დარბაზში სატელევიზიო კამერები იდგა. ბრალდ-ებულთა ნათესავებიდან დარბაზში იმყოფებოდნენ გამსახურდიას მეუღლე მინანა, კოსტავას დე-და და მისი თვრამეტი წლის ვაჟი ირაკლი. ბოლო დღეს დაუშვეს კოსტავას ყოფილი მეუღლე რუსულად ბერძენი. შენობასთან თავს იყრიადა ხალხი ორმოცდაათ- ასი კაცის რაოდენობით.

ბრალდებულებს ბრალად ედებოდათ ანტისაბჭოთა ლიტერატურის დამწავლება, შენახვა და გა-ვრცელება. საბრალდებო დასკვნის დიდი ნაწილი ეხებოდა წვიად გამსახურდიას. მას ბრალდებოდა გავრცელება, ხოლო ზოგ შემთხვევაში გამრავლებაც შემდეგი „ლიტერატურის“ : „გულაგის არქ-ივიაგვი“, კრებული „მსოფლიო და ძალმომრეობა“, სახაროვის წიგნი-„იქცეანასა და მსოფლიოზე“ გრიგორენკოს სტატიების კრებული-„შეშლილს აზრები“, იური ორლოვის სტატიები- „არის თუ არა შესაძლებელი არა ტოტალიტარული ტიპის სოციალიზმი?“, „მიმდინარე ამბების კრონიკის“ გამოშვებები, პარიზული გაზეთის რამდენიმე ნომერი(რუსკაია მისი) და სხვა.

მერაბ კოსტავას ბრალდებოდა თარგმნა-გავრცელება სტატიისა„სახაროვის წიგნი“ქვეყა-ნასა და მსოფლიოზე“, წერტილ სტარჩიკის დასაცავად, სტატიის-„მეხბი-თურქები თუ მესხი-ქა-რთველები“, შაჰარევიჩის შრომის-„სოციალიზმის“ ქართულად თარგმნა, ასევე ქართულად თარ-გმნა სახაროვის წიგნისა „ქვეყანასა და მსოფლიოზე“ და ორლოვის წემოთ ხსენებული სტატიე-ბისა. გარდა ამისა ორივე ბრალდებულს ბრალად ედებოდათ რამდენიმე ე.წ. „ცილისმწამებლური“ თურნალის განსაკუთრებით-„საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ან საავტენტის ცნობით, „ბრა-ლდებულები...რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატიურად ამწავლებდნენ ამრავლებდნენ და ვერცხლებდნენ ანტისაბჭოთა ფურცლებს. ესწრაფვოდნენ რა, მიეცათ თავიანთი ანტისაბჭოთა სა-ქმიანობების სისტემატიური ხასიათი. გამსახურდაამ და კოსტავამ სამოცდამეთქვსმეტე წელს: მოაწვეეს ე. წ. „თურნალა“ არალეგალური გამოცემა. ამ თურნალისში იხმელებოდა მასალები, რომლებიც შეიცავდნენ ცილისწამებას საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე მათში განდიადებულნი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აწარმო-ებდნენ შეიარაღებულ ბრძოლას საბჭოთა პარტიის წინააღმდეგ ფაშისტურ გერმანიის მხარეზე. თურნალეში ვაწეული იყო პროპაგანდა ბრალდებულებისა და სხვა ანტისაბჭოთა ავტორების მიერ დამწავებული მასალებისა თვით საწვდარგარეთის საემიგრაციო ორგანიზაციის -ნტს-ის ფურ-ცლების ჩათვლით, სადაც გამოთქმული იყო მოწოდება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრ-ძოლისა.“

უპასუხა რა მოსამართლის შეკითხვაზე, გამსახურდიამ თქვა, რომ იგი სცნობს თავს დამნაშავედ და ინანიებს თავის საქციელს. კოსტავამ ორივე კითხვაზე უპასუხა უარყოფითად. მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე განმარტების მიცემის დროს, გამსახურდია გამოყოფდა ორსაათიანი სიტყვით. (დამსწრეთა თქმით, იგი ლაპარაკობდა მისთვის დამახასიათებელი სიტყ-ვაკაწმულობით)მან თქვა, რომ თავდაპირველად არ მიაჩნდა თავისი თავი დამნაშავედ, მაგრმ როდესაც დაფიქრდა, შევიდა, რომ ნამდვილად არღვევდა საბჭოთა კანონებს. იგი სცნობს თავს დამნაშავედანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელებაში, თუმცა ყველა ის ლიტერატურა, რომლე-ბსაც ისინი ავრცელებდნენ-გამსახურდიას თქმით- არ იყო ანტისაბჭოთა ხასიათის. მისი შეხედ-ულებები მრავალ საკითხში შეიცვალა, მაგრამრელიგიის, განათლებისა და ენის საკითხებში იგი თავის თავს თვლის უწინდებურად მართლად-მისინაციონალურ-პარტიოტული შეხედულებები არ შეცვლილა. მოსამართლე: ამაზე არცხი ვედავებათ. გამსახურდია: მართალია და მიადებული ვარ.

გამსახურდით თქვა, რომ ყველა ფაქტებირომლებიც ჩამოთვლილია საბრალდებლო დასკვნაში, სინამდვილეს შეეფერება. ადრე მას მიაჩნდა, რომ ყველა არსებული ნაკლოვანებები გამოწვეული იყო არსებული წყობის თავისებურებებით. — ამჟამად კი ესმის, რომ ეს სწორი არ არის. იგი ორ- ენტირებას აკეთებდა მხოლოდ საერთაშორისო ფაქტებს, ხოლო საბჭოთა კანონებს არ აქცევდა ყურადღებას და აი, მან დაარღვია ეს კანონები. გამსახურდია გაეცნო ხალხს, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ „თვითგამოცემაში“. ასეთია ადამიანის ფსიქოლოგია: რაც აქრძალულია, სწორედ ის იწიდავს ადამიანს. ბევრი ლიტერატურა მზადდება უცხოეთში. იქ წერენ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ცუდად. ეს სწორი არ არის, — განაგრძო გამსახურდიამ. ქართველ ხელებს, როგორც წესი, ჰყავს საკუთარი ავტორმანქანა.

გამსახურდიამ სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ავრცელებდა „გულაგის არქიპელაგს“ : ეს წიგნი დაწერილია დიდი სიძულვილის გრძნობით, მისი ავტორი ყველაფერს ხედავს შავ ფერებში. მას ავიწყლებდა, რომ 1937 წელი აღიარებულია შეცდომად; რომ ეს წელი იყო ცალკეული პირების შეცდომა და არა მთელი სისტემისა — განაცხადა გამსახურდიამ.

გამსახურდიამ თქვა, რომ მას ყველაფრის მიმართ ჰქონდა ნეგატიური დამოკიდებულება, აღამიანი კი უწინარეს ყოვლისა უნდა ხედავდეს კარგს. მას სურს, რომ საზოგადოება და სასამართლო დაერწმუნდნენ, რომ იგი არ არის მტერი. მან გაიგო, რომ ის უნდა სცეს პატივი კანონს, ან უნდა წავიდეს საზღვარგარეთ. მას უწოდებენ დისიდენტს, მაგრამ ეს სწორი არ არის. მას არ სურს საზღვარგარეთ ცხოვრება და იგი არასოდეს ყოფილა კაპიტალშიმის მომხრე.

მან განაცხადა, რომ იგი ორჯერ შეხვდა ამერიკის სასაელჩოს პირველ მდივანს ბელოუსოვიჩს და მიიღო მისგან ლიტერატურა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ასრულებდა ვისიმე დავალებას. (იმავე ახალი ამბების სააგენტოს ცნობით, გამსახურდიამ აღნიშნა ის დამდუბველი გავლენა რომელიც მასზე მოახდინეს ამერიკელებმა ბელოუსოვიჩმა, შიბლერმა და ფრენდლიმ).

დასავლეთში — თქვა გამსახურდიამ — ყოველნაირად ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს იქ უკეთესია, მაგრამ ეს ასე არ არის. უარყოფით მოვლენებს ყველანაირად აქვს ადგილი. დასავლეთში სუფევს ანარქია, ჰქვავენ პრეზიდენტებს, მოჰკლეს მორი. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ასე მოქცევა, როგორც იქცეოდა აქამდე, არ შეიძლება. გზა, რომელიც მან აირჩია, შეუთავსებელია პატრიოტიზმთან. პატრიოტიზმი უნდა იაროს ოფიციალური გზით. ჩვენ გვაქვს ასეთი გზები. მე ვამბობ ყოველივე ამას არა იმიტომ, რომ შემიშინდა ციხეში — არამედ მიტომ, რომ მე შევიგნე ჩემი დანაშაული. მოსამართლეთ: რით არის გამოწვეული თქვენი მონანიება? ხომ არ ჰქონია ადგილი ზემოქმედებას თქვენზე წინასწარი გამოძიების დროს? გამსახურდია: ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია მე ვუფიქრე, გადაანადგურე ჩემი პოზიცია და შევიგნე, რომ ის იყო მცდარი.

მოსამართლეთ: საზღვარგარეთის რომელ გადაცემებს ისმენდით? გამსახურდია: ამერიკის ხმას, გერმანულ ტალღებს, თავისუფლებას. „თავისუფლებას“ ახშობენ და კარგსაც შვრებიან, — მისი გადაცემები დიდად ამახინჯებს სინამდვილეს.

მოსამართლეთ: რა იცით თქვენ ამ რადიოსადგურების შესახებ? გამსახურდია: ვიცი, რომ მათ აფინანსებენ დასავლეთის დაწვერებები. მაგალითად, თავისუფლებას“ აფინანსებს ამერიკის ცენტრალური სადაზვერავო სამმართველო.

მოსამართლეთ: გამოიყენეს მათ გადაცემებში თქვენი სახელი თუ არა? პასუხი: გამოიყენეს. მოსამართლეთ: რას არ ეთანხმებოდით თქვენ მანის საბჭოთა პარტიის გამოქვეყნებულ სტატიებში — იღან? პასუხი: იმას, რომ მე ვმუშაობდი დასავლეთის დაწვერავთა დავალებით.

მოსამართლეთ: რა ლიტერატურას ავრცელებდა კოსტავა? პასუხი: შაჰარაფიჩის შრომას „სოციალიზმი“, ადვოკატი: თვითონ თუ გაქვთ გადაანადგომი თქვენი სტატია დასავლეთში? პასუხი: არა.

ადვოკატი: შეიგნეთ ბოლომდე თქვენ მიერ გავრცელებული ლიტერატურის, განსაკუთრებით სოლვენიციის წიგნის მადნე ხასიათზე? გამსახურდია: მე ეს არ მესმარდა აქამდე მესმის. ლიტერატურის ინსტიტუტის საერთო კრების გადაწყვეტილებაში — ინსტიტუტისა, სადაც მე ვმუშაობდი, ნათქვამია, რომ თითქოს მე ვთქვი, რომ მე არ შევწყვიტე შურნალის გამოშვებას. ეს არ არის მართალი. მე ვთქვი, რომ მისი გამოცემა არ არის მართლ ჩემზე დამი კიდებუთი. მე ესლა ავირჩიე ჩემი გზა. მე არ მოველი სასამართლოსაგან რაიმე ხელის დაფარებას. წინასწარი გამოძიების დასაწყისში მე არ ვაძლევდი ჩვენებას, მაგრამ შემდეგ მე წარმომიდგინეს მრავალი დოკუმენტი და მე დავეწყე ჩვენებების მიცემა. მერაბს ადევლებს ის, რომ შემიძლება იფიქროს, თითქოს მან მისცა ჩვენებები. მერაბმა მხოლოდ დაადასტურა ფაქტები და ეს მან გააკეთა ჩემი თხოვნით. მე ყველაფერს ვიღებ ჩემ თავზე. მერაბი არ იყო შურნალ „საქართველოს მოამბის“ თანარედაქტორი.

მოსამართლეთ: ადამიანის რომელ უფლებებს იცავდით თქვენ პასუხი: მე ვცდებოდი. პროკურორი: თქვენ დაპატიმრებამდე თუ არამ პასუხი: დიახ. პროკურორი: როდის შეიგნეთ თქვენი შეცდომამ პასუხი: ნაპატიმრებამდე რამდენიმე თვის შემდეგ. ადვოკატი: თქვენი აღიარებაარის

თუ არა გულწრფელი და ხომ არ შეიძლება იგი შეიცვალოს მომავალშიმ პასუხი: მე არ ვითხოვ, რომ თქვენ ირწმუნოთ ჩემი სიტყვები, არ ღირს იმის მტკიცება, რომ არაფერი არ შეიცვლება გამსახურდიას სიტყვის დროს ვაკცეხულმა მანანამ წამოიძახა: „წვიად! ვინც მოდის მისი რას წავაყენებ“ რაწვიად? წვიადღა უპასუხა: „შენ თვით არ გესმის რას ლაპარაკობ!“

კოსტავამ თავისი გამოხვლა დაიწყო განცხადებით: „ყოველივე იმიდან რასაც ჩვენ ვაკეთებთუბდით, არაფერი არ დაგვიფარია. ამიტომ, ჩვენი საქმიანობა არ იყო არაღეგალური“. მან თქვა რომ 1978 წლის მარტამდე, მიაჩნდა რა მისი დაპატიმრება არაკანონიერად, საერთოდ არ აძლედა ჩვენებს. შემდეგ, გამსახურდიას თხოვნით, მან დაადასტურა ეპიზოდები, რომლებშიც იგი იღებდა მონაწილეობას. უარყო რა გამსახურდიას გამოხატულებაში, კოსტავამ თქვა, რომ თავის სტატიებს იგი წერდა საკუთარი ინიციატივით და არა წვიადის დაგვლებით და და რომ იყო სრულყოფილი თანარედაქტორი ეურნალისა „საქართველოს მოამბე“.

მან აღნიშნა ასევე, რომ არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიების დროს მას არ უთქვამს არაფერი ისეთი, რისიც შეიძლება მას რცხვენოდეს. კოსტავამ თქვა, რომ მას არა აქვს რაიმე პრეტენზიები გამოძიებულთა მიმართ. სახაროვის წიგნი მან გადათარგმნა იმტომ, რომ სურდა ბქონოდა იგი ქართულ ენაზე. ზოგიერთ რამეში სახაროვის არ ვეთანხმები-თქვა მან - მაგრამ განწყობილი ვარ მის მიმართ უდიდესი პატივისცემით.

მოსამართლე: მიგანიათ თქვენ სახაროვის წიგნი ანტისაბჭოთა წიგნად თუ არა? კოსტავა: მე თავს ვიკავებ ამ კითხვად უპასუხისაგან. მოსამართლე: არის თუ არა თქვენი სტატია მესხებზე ანტისაბჭოთა ხასიათის? პასუხი: მე არ მიმართია იგი ასეთად. მოსამართლე: თქვენ ამბობდით, რომ საპატიმროები და ფსიქიატრიული საავადმყოფოები ვაცხებულა თავის უფლებებისათვის მებრძოლებით. კოსტავა: ადრე სწორედ ასე იყო, ამჟამად მდგომარეობა რამდენადმე გამოუმჯობესდა. მაგალითად, როდესაც მე ვიყავი ტფილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოში ექსპერტიაზე, პოლიტიკურ პატიმრებიდან იქ მხოლოდ მე ვიყავი. მოსამართლე: თქვენს ეურნალში თქვენ დაბეჭდილი ნტბ-ის ფურცელი. თქვენ არც ამას ადარებთ კოსტავა: იგი ვაკრიტიკებულ იქმნა ისე, რომ არ დაბეჭდილი. მე უფრო სწორად მიმართაჯერ დაბეჭდა, ხოლო შემდეგ ვაკრიტიკებდა.

მოსამართლე: სტატია გენერალ მაღლაკელიძეზე? (აქ ვაკეთებულა შემდეგი შენიშვნა:ომის დროს ემიგრაციაში მყოფი მაღლაკელიძე შეუერთდა გერმანელებს დამოაწყო „ქართული ლეგიონი“ შემდეგ იგი მოტაცებულ იქნა ბერლის აგენტების მიერ. ის არ გაუსამართლებიათ და თავისი სიცოცხლის უქანსკენელ წლები საქართველოში გაატარა. მუშაობდა ადვოკატად).

კოსტავა: შენაძლებელია-ამ სტატიის გამოქვეყნება ნაადრევი იყო, თუმცა მომავალი ისტორიკოსები მაღლაკელიძის ბედს მიიჩნევენ აღბად ისე. როგორღადა ახლანდელ ისტორიკოსებს მიაჩნიათ ბუდი ვიორტი სააკაძის(აღშფოთების შეძახილები და რაბაწი). გარდა ამისა, უძველეს დროთა ძლიერ და ბკვიან ადამიანებადმი პატივისცემა ახასიათებს ადამიანს: მოიგონეთ მაგალითად, ასტილ და პომეროსი. რაც შეეხება ჩემს სტატიას სოფლის მეურნეობაზე, მე კვლავინდებურად მიმართია, რომ გლებებს უნდა მიეცეთ თავიანთი პირადი ინიციატივის გამოყენის შესაძლებლობა, ეს საკითხი ელის გადაწყვეტას. არ არის აკრეთვე გადაწყვეტილი მესხთა საკითხი. სასამართლოზე დაპკითხვის ოცდაერთი მოწმე.მათ შორის იყო ვიქტორ რცხილაძე. იგი მცველების თანხლებით მოიყვანეს სხლომაზე. დაკითხულ იქნენ აგრეთვე ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ გულაგის არქივულაგის ასლები მასობრივ გამრავლებაში.

სასამართლოს დროს გამსახურდია ყოველმხრივ ცდილობდადაეცვა კოსტავა, ერეოდა მის დაკითხვაში. სასამართლომ ორივეს ერთნაირი განაჩენი გამოუტანა: სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შრომა-განწორების საპატიმრო ბანაკებში მოხდითა დაშემდეგში ორი წლის გადასახლებით.

ორ ივლისს, მორწმუნეთა უფლებების დაცვის კომიტეტის წევრმაგლებ იაკუნინმა პრესისათვის გააკეთა შემდეგი განცხადება: „მე - მღვდელი ვლემ იაკუნინი ვადასტურებ, რომ ჩემი მეგობრის- წვიად გამსახურდიას მეუღლემ მანანამ, აგრეთვე მისი დაგვლებით სხვა პირებმა, ტფილისიდან ტელეფონით მთხოვეს-გადამეცა უცხოელი კორესპონდენტებისათვის, რომ ტელეფონით „მონაჩეხებს“ ჩვენების შემდეგ საპატიმროში თავის მეუღლესთან მანანასთან შეხვედრის დროს წვიად გამსახურდია ირწმუნებოდა, რომ არავითარი განცხადება ტელეკამერების წინაშე მას არ გაუკეთებია და რომ წარმოადგენა არა აქვს იმაზე, თუ როგორ იქნა გადაღებული.

ბელსინკის ჯგუფის წევრმა ისაი გოლდშტაინმა, რომელიც ტფილისიდან ჩამოვიდა და იური ორლოვის სასამართლო პროცესის დროს იმყოფებოდა სასამართლო შეხების მახლობლად,

გამოთქვა რწმენა, რომ ინფორმაცია, რომელიც გადაცემული იქნა ოფიციალური არხებით ზვიად გამსახურდიას გასამართლების შესახებ, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. გამსახურდიას „სატელევიზიო მონაწილება“ აღძრა ეჭვი, რომ იგი წარმოადგენდა ფალსიფიკაციას, რომელიც შეთხზნილი იყო ქართველი ხალხის თვალში გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით. ამ ეჭვს განამტკიცებდა კერძო ის, რომ ოსვალტ მანანაშ აცნობა, თვალში საცემი იყო აშკარა ზეფსიზმ-ბამობატელევიკრანჭ გამოსახულ გამსახურდიას გარეგნობასა და მის ფიზიკურ მდგომარეობას შორისასამართლოს და ციხეში ნახვის დროს, რომლის დროსაც იგი გამოიყურებოდა გამხდარი ფერმიხდლი და ავადმყოფი. აღძრა ეჭვი, რომ სატელევიზიო მონაწილება იქმნებოდა წინასწარი გამოძიების საწყის სტადიაში და წარმოადგენდა ფარული კამერით გადაღებული ეპიზოდების ფორთოზონტაჟს.

თვრამეტ ივნისს გაიმართა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს სხდომა, რომელმაც განიხილა რადიო მარუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სარჩიელი. ამ სხდომაზე მოწმის სახით გამოვიდა ზ. გამსახურდია. სასამართლოს წინაშე მისი გამოხვლა გადაღებულ იქნა და გადაცემული ცენტრალური ტელევიზიით.

მერაბ კოსტავამ საქართველოს უმაღლეს სასამართლოში შეიტანასაკასაციო საჩივარი. სასამართლომ განაჩინა უცვლელად დასტოვა. ავეისტოს შუა რიცხვებში კოსტავა ჩაყვანილი იქნა პერმის ოცდამეჩვიდმეტე სპატიმროს ბანაკში.

ზვიად გამსახურდიას საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, შეწყალების სახით, შეუცვალა მას განაჩენი და სასჯელის მოუხდელი ვადა შეუყვალა ორი წლის ვასახლებით. ოცდაექვს ივლისიდან იგი ვასახლებით სასჯელს იხდის დადესტანში ყიზლარის რაიონში. მას დაუბრუნებია მისი დაპატიმრების დროს ჩამორთმეული ნივთები. იგი დაინიშნა თანამდებობაზე, რამლის თანხმადაც მას ივრელია დაღესტნის საძოვრებზე მყოფ ქართულ მეცხვარეებს შორის კულტურულ-სავაჭარო-საბაზრობო მუშაობის ჩატარება.

გამსახურდიას თქმით, ზაზი, რომელიც მან გააჭიარა ძიებისა და სასამართლო პროცესის დროს მისი „მონაწილება“ აიხსნება იმით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ-ერთი, მის მიმართ გამოტანილი იქნებოდა „მაქსიმალური“ სასჯელი, რომელიც საქართველოში გამოიწვევდა მასობრივ მღელვარებას, რაზედაც ხელისუფლება უპასუხებდა მკაცრი რეპრესიებით-ისეთით, როგორსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1958 წელს, მეოცე პარტიკრილობის შემდეგ, მეორეც, მაშინ დაზარალებუოდნენ ბევრი მასთან დაკავშირებული ადამიანები, რომელთა საქმიანობის შესახებაც ცნობილი იყო კვბ:-სათვის. მესამეც, განადგურებული იქნებოდა ყველა ის დადებითი შედეგები რომლებსაც ათვიანით საქმიანობით მიაღწიეს მან და მისნა მეგობრებმა.

გამსახურდიამ თქვა აგრეთვე, რომ იგი წავიდა კომპრომისზე კვბ:-სთან და ამის შედეგად მიაღწია ეპისკოპოს გიორგის დაპატიმრებას. დაშით-კარეჯის მონასტრისათვის საარტილერიცების დაწინისშეწყვეტას, სამი ეკლესიის გახსნას და კონსტიტუციაში სტატიის შენარჩუნებას, რომელიც ქართულ ენას აღიარებსსახელმწიფო ენად.

ტელევიზიაში მისი „მონაწიებითი“ გამოსვლის თაობაზე გამსახურდიამ თქვა, რომ ეს იყო ვიდუომავანტილონიზე ჩანაწერი, რომელიც გაკეთებულ იქნა მისი თანხმობით ძიების მიერ: „აი თქვენ, ახლა ამბობთ ერთს, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ სასამართლოზე თქვენ არ მოიქცევენ სხვაგვარად“-განუხებავს მას.

მისი თქმით, გამოვიდა რა მოსკოვის საქალაქო სასამართლოში, როგორც მოწმე, მას არ შეეძლო ეთქვა ის, რისი თქმაც მას სურდა: მოსამართლემ და პროკურორმა არ მისცეს ამისი საშუალება. ვარდა ამისა, მას იმედო ჰქონდა, რომ სასამართლოზე იქნებოდნენ გამოძახებული კორესპონდენტები, რომლებიც მისცემდნენ მას შეითხვებს.

წინამდებარე დოკუმენტი ამოღებულია მოსკოვურ თვითგამოცემის ჟურნალ „მიმდინარე ამბების ქრონიკიდან“. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თარგმანის თარგმანია-რადგან პროცესი ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ვარდა ამისა იგი პროცესის სტენოგრაფულ ანგარიშის ძლიერ შემოკლებული ნაწილია-სხვები რომ არც ჩავთვლოთ, უკვე მხოლოდ გამსახურდიას წარმოუქვამის ორსაათიანი სიტყვა. ყოველივე ამის გამო, ჩვენ რომ პროცესის მთლიან ანგარიშს გავცნობოდით შესაძლებელია სურათი სხვაგვარი ყოფილიყო.

პირველადვე თვალშისაცემია პროცესის ატმოსფერო, რომელსაც სრულებით არა აქვს პოლიტიკურ პროცესის იერი. იგი ოფიციალურად არც ითვლება ასეთად: საქმე ქალაქის კრიმინალურ სასამართლოში ირჩეოდა- რუსებს „არა ჰყავთ პოლიტიკური დამნაშავენი“.

ბრალდებულთა დამნაშავეობა თითქო წინასწარ დადგენილია- როგორც მაგალითად ბრალდებულ ქურდების ან მკვლევებისა, რომელთა შესახებ ის კი არ არის გამოსარკვევი, არიან თუ არა



ქრადლები ან მკვლელები, არამედ ის — თუ რომელ ქურდობაში ან მკვლელობაში მიიღო თითოეულმა მონაწილეობა. ჩვენ მეთხველს ვაწვდით ამ დოკუმენტს და ყოველი მათგანი საკუთარ ანალიზს აკეთებდა შესძლებს. მხოლოდ გვსურს აზრი გამოვთქვათ გამოტანილ განაჩენზე.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პარაქტიკისათვის, იგი არცთუ მაინცდამაინც მკაცრია. ყურადღებას იპყრობს სხვა გარემოება: სასამართლომ გამსახურდიას და კოსტავას ერთნაირი სასჯელი მიუსაჯა. ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა გამსახურდიას სასჯელი ძლიერ შეუმსუბუქა, კოსტავას კი არა. ახ უნდა იყოს ამის მიზეზი?

ბრალდებულებს თავიანთი მოქმედების სფეროები ისე ჰქონდათ განაწილებული, რომ საქართველოს მმართველ წრეებში და პარტიის ხალხში გამსახურდიას მეტი „მეტრზ“ უნდა გაეჩინავიდრე — კოსტავას. გამსახურდია საქართველოში მომხდარ ამბებს ამხელდა. მან მრავალი პირი დაასახელა — ზოგი რთვორც უღირსი მოხელე ზოგი — რთვორც პოლიციის აგენტი. მან პირადად შევარდნაძესაც კი შეუტ ამათ, რომ საქართველოს სატუსალოეში მომხდარ საშინელებათა პასუხისმგებელად იმდროინდელი შინ. საქმეთა მინისტრი შევარდნაძე გამოიყვანა.

კოსტავა სულ სხვა საკითხებზე წერდა: მესხების პრობლემა, გლეხთათვის მეტი ინიციატივის მიცემის საკითხი, სახაროვის წიგნის კომენტარები, მაღლაკელიძის ნაშრომდარის შეფასება და სხვა. ეს საკითხები ქართულ ჟარგლებს სცილდებიან, ისინი საკავშირო მნიშვნელობის საკითხებია. კაცო ფიქრებს — ეს განსხვავებული სასჯელი გამსახურდიას „მონანიებით“ აიხსნებო. მაგრამ მაშინ სასამართლოსეე უნდა გამოეტანა სხვადასხვაგვარი განაჩენი, ვიდრე გამსახურდია თავის „მონანიებას“ ყოველგვარ ფასს დაუქარგავდა მით, რომ შემდგომი განცხადებით მან თავის მონანიებებს ტაქტიკური მოსაზრებით გადადგმული ნაბიჯი დაარქვა და კ. გ. — ესთან მიღწეულ კომპრომისზე ილაპარაკა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან გამოაშკარავა მოსიძის ვაჟუნის არსებობა სასამართლოზე. და მუხენდავად ყოველივე ამისა პრეზიდენტმა მას სასჯელი შეუმსუბუქა. თუ ამ ორი ბრალდებულის „დანაშაულობათა“ ხასიათს დავუკვირდებით. უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტმა გაჰბედა ან ნება მიიღო, რომ გამსახურდიას სასჯელი შეემსუბუქებია, ხოლო კოსტავას მიმართ ამავე ზომის მიღობის ნება რუსებმა არ დაართეს.

რუსთა წინაშე კოსტავას დანიშნული ბევრად უფრო მძიმეა ვიდრე გამსახურდიასი. ის ფაქტია რომ გამსახურდიას სააშკაროზე გამოჰქონდა საქართველოს არსებული დაუდგენლობის, მეკრთამეობის, უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ პოლიციის აგენტობის, სატუსალოეში შემოღებულ მორალურ და ფიზიკურ წინაშეის მეთოდების და საეკლესიო პირთა შორის პედერასტიისა და ლითობის ამბავი, რუსთათვის არც საშინოებებს, არც უშუალოდ მათ წინააღმდეგ მოქმედებას, არც ანტისაბჭოურ პროპაგანდას არ წარმოადგენდა. ზოგი მოსაზრებით, ყოველივე ეს მათთვის სასარგებლო რამესაც კი შეიცავდა: ტრანსისათვის გახრწნილ საზოგადოებაზე ბატონობა უფრო ადვილია. სულ სხვადა ის სფერო და საკითხები რომელთაც კოსტავა ეხებოდა, რომელთა შორის მართლ მაღლაკელიძის საქმე საკმარისი იყო, რომ კოსტავა დაესაჯათ. ემიგრანტთა შორის თუ დომილს იწვევს მაღლაკელიძისა და სააკაძის შორის ანალოგიის გატარება, მითომ რომ მედალიონის მეორე მხარესაც ვიცნობთ. მაგრამ საქმე ის კი არ არის, იყო თუ არა მაღლაკელიძე კოსტავას მიერ დახატული პირიგნება, არამედ ის, რომ ამგვარი კაცის მოქმედება შედარებულია სააკაძის საქმესთან, რითაც რუსეთიღ დამპყრობელ სპარსეთთან არის გათანაბრებული და საქართველოს გასათავისუფლებლად უცხოთა ინტერვენციაც გამართლებული თუ არა, დასაშვებად მიჩნეულია.

რაც შეეხება მის წერილს სახაროვის წიგნის შესახებ, მეთხველმა მაშინვე ფიქრებდა (დაიბეჭდა ტრინიუნსა 17-18 ნომერში), რომ ამგვარ რამებს მას არ აქატიბედებ. ამ წერილში კოსტავა სახაროვს უსაყვარლურებს ნაყოფიან ჰრობლემისადმი არასაკმარის ყურადღებას და ეუბნება „დაპყრობილი ერის მოქალაქე უკეთ იცნობს დამპყრობელის ფსიქოლოგიას და ხვანჯებს, მხოლოდ დაპყრობილი ერის წარმომადგენელს ძალუძს თვალნათლივ დანახვა რუსული ეროვნული პოლიტიკისა მთელის სივრცე სივანით, პატარა მეზობელი ერების ურთიერთზე მისივეისა და ვადაკიდების იმ ჟარული მექანიზმის შერგობება: რომელსაც ეს პოლიტიკა იმავე ერების იავარსაყოფად, მათი ეთნიკური აქრელებისა და ასმილიაციისათვის ახორციელებს“. და სხვა ადგილას იგი ამბობს: „ხოლო ამ თამად კაცთა წიაღში ახახულია სინდისის ცეცხლი. მთელი მსოფლიო, მით უმეტეს დაპყრობილი ერთა მოქალაქენი მოუთმენლად მოვილიან მომავალში ამ ცეცხლიდან ხანძრის ავიზიგებებას, რადგან ჰუმანიტარულად, სჯობს ამგვარმა სინდისის ცეცხლმა დააღდგოს შიგნიდან ნაციონალური მესიანიზმისა და ეკოლოგიის ყინვარების ციტადელი, ვიდრე გარდადნ სხვა უფრო უხეშმა ძლამ უმოწყალოდ მოსრას იგი. შემწარავი იქნება მაშინ მსოფლიო შურისძიება! ორთაგან ერთი კი გარადუვალა“ ო.

და როდესაც პროცესის დროს მას ამ წერილის არსებობა მოაგონეს, კოსტავამ თქვა: სახაროვის დიდი პარტიისმცემელი ვარ თუმიცა ზოგ რამეში მას არ ვეთანხმებით. და სწორედ ეს არ გე-

თანხმები“ შეადგენდა კოსტავას დანაშაულს , რადგან იგი სახაროვზე უფრო შორს მიდის საბჭო-
თა რევოლუციის კრიტიკის დროს.

უნდა ვიფიქროთ რომ ამიტომ დანაშაულს კოსტავა გამსახურდიაზე უფრო სასტიკად და თანაც
პერსონში წაუყვანიათ, რომ რუსებს თავიანთ თვალუფროს ქვეშ ჰყოლოდათ იგი. კოსტავა რუსების
თვალში უნდა მიჩნეულიყო ბევრად უფრო საშიშარი მოწინააღმდეგეთ, ვიდრე გამსახურდია.

მართლაც, ვინც ქართული დისიდენტური ამ ორი მეთაურის საქმიანობას გაეცნობა, მიუ-
ხედავად გამსახურდიას სახელის უფრო მეტად გახმაურებისა, სწორედ კოსტავა ჩანს როგორც
ამ მოძრაობის და ბრძოლის უნებური ძალა,

ხალხის თვალში ამგვარი დაწვევლებადერთიმიერის თანამედროვე პიროვნებების ცნობ-
ილია მრავალი ქვეყნის მრავალ მოღვაწეთა მიმართ. საქირო პრაქტიკის დაცვით, შევადგინა
მოვიგონათ: შიღვი და გოეთე, აკაკი და ილია, ვარიბაღლი და კავური, ჯულღელი და ხომერიკი.

გ. პ.

გ ვ ე ბ რ ა ლ ე ბ ო დ ნ ე ნ გ ლ ა ხ ა კ ნ ი ს უ ლ ი თ ა .

ყველას ახსოვს ომისწინა ხანა, როცა ქართულ ემიგრანტულ პრესაში და ამის შემდეგათ,
საზოგადოებაშიც მწვავე დისკუსიას ჰქონდა ადგილი, რის გამოც სხვადასხვა წრის პირთა შორის
უსიამოვნო დაძაბულობა შეიმჩნეოდა. მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, ომისწინანდელ პოლ-
იტოკოსთა საქმიანობის დიდი ნაწილი იგრადე წოდებულ გაერთიანების და შეთანხმების საქმეს შე-
ეწინა. როგორც ცნობილია ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ
თუმცა ყველანი გაერთიანება-თანამშრომლობაზე ლაპარაკობდნენ, ერთი ნაწილი ფართულად გულში
საკუთარ საკუთარ რესტავრაციაზე ფიქრობდა და ამისათვის სხვების გამოყენებას აპირებდა
ხალხ მეორე ნაწილი საზოგადოებისა, რესტავრაციაში მხოლოდ ქვეყნის სუვერენობას გულსხმობ-
და და რაც შეეხება პიროვნებებს. მათ მიმართ წამოყენებულ ზედღებებს მომავალ სუვერენულ
ხალხს მიერ გასარჩევად რაცხდა მათ.

ომის შემდგომ ხანაში ეს დაძაბულობა ძლიერ შენედა და თანდათანობით მიყუჩდა კიდევაც.
ამის გამომწვევი მიზეზები იყო: ომის დროინდელი ვაკუუმილი, მოღვათა ხანდაზმულობა, ახალი
რამის ბრძოლის უშუალოდობა და ბოლოს მოქმედება განშორება ამა ყვეყნიდან. უკანასკნელ ათი
წლის პერიოდში ერთადერთი პასუხისმგებელი პირი იყო ცოცხლებში ძველ თაობიდან - ნოე ცინც-
აძე. და თუ მომდევნო თაობის ხალხი მათ გემზე მის ყოფნას და კაპიტნობასაც იწყნარებდა, ეს
ხდებოდა არა მისი სიყვარულისა გამოცეც კულტურაში არისტოკრატია, ამავე დარგის გლახაკთა საშ-
ინლად (სულდა), არამედ იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ მომდევნო „წინააღმდეგობა“
იპოვნებოდა, საზღვარ რუსის წაქოთხვის შემდეგ.

ზემოდ აღნიშნული შენელება დაძაბულობისა ცხადია იმას არ ნიშნავდა, რომ მისი გამომ-
წვევი სათანადო აღარ არსებობდა. მაგრამ რაკი ნამდვილი პასუხისმგებელი პირები წარსული თაო-
ბისამართაღნიეთ მტყუანნი ერთინცა და მეორენიც, ვაკეშორდნენ, ბუნებრივად ჩანდა, რომ
მამათა დავა ჩვეთა შვილთათვის გადაგვეცა - მითუმეტეს რომ, ჩვენ თვითონ სიბერეში შევდიო-
დით და არავითარი შანსი არ არსებობდა, რომ ამ დავის გადაწყვეტაში ჩვენს თაობას რაიმე როლის
თამაში შევტეოდა.

ამგვარად ვაგიდენ წლები და მოვლენებიც განვითარდა საქართველოში. ქართველებისაზე
უწინარეს რუს და უკრაინელ დისიდენტთა ხმამ მოადგინა ევროპაში. დაგვიანებით ჩვენი გულის-
ათვი სკანდალური ქართული ხმაც ვაკოვრეთ. ეს იყო ქართული თვითგამოცემის პირველი რვეულები.

პირველი აღტაცება და კმაყოფილება მალე იქვმა და რეზერვმა შეცვალა იმ წრეში, რომელიც
თავის „უმადლესობის“ ხანაში ამაყად ატარებდა აწ სირცხვილელად მიჩნეულ მენშევიკთა სახელს.

ამ ხალხმა პირველივე რვეულებიდან აღდგოთი და უნსვითი იგრძნო(როგორც ყველა პრიმიტივე-
ბში, მათშიაც ალღო განვრტივ დანაკლისის ანაწლადურებს), რომ ეს „მათი“ ხალხი არ იყო. მართლა-
დაც, ამ ქართველ პატრიოტთა ენა , სტილი და საკითხებისაწმელ მიდგომასაოცრად მოგვაგონებდა
სწორედ იმ ხალხს ვინც თავის დროს საქართველოს უკანასკნელ ხელისუფალთსაქციელს კიცხავდა.
მენშევიკთა შორის გაიგონებდით იქვეთულ შეკითხვებს:ვინ არის ეს გამსახურდია? თითონ ხომ არ
არის პოლიციის აგენტი? ასე გამოსვლას როგორ ვაბედავდა? და სხვა. მალე ქართველ მეტბოძლთა
სახე მეტის სიხალდით გამოიკვეთა: აშკარა ვახდა, რომ საქმე გქონდა დრმა შეგნების პატრიოტე-
ბთან, რომელთაც ვაბედულობა და ვადაწყვეტილებასთან ერთად, მაღალი ხარისხის ინტელიგენტ-
ობა ახასიათებდა.

სათაური თანამედროვეპირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქმნას ვაკებული.

მენშევიკური პრესა ქართველ დისიდენტთა მოძრაობას ცალი ყბით, უგულვოდ და უენთუზიან-
მით მაგრამ მაინც გამოეხმაურა. მხოლოდ როდესაც იქიდან მოსულ მასალებში მენშევიკთა წარს-
ულის კრიტიკაც აღმოჩნდა, ლამის ყველას სიყვილზე შეეყარა.

ეს კრიტიკა იმაში გამოიხატებოდა, რომ მაგალითად ჩვენს თავდაცვით ომს „ეგრედწოდებულ ომში“ დაარქვეს; გაიხსენეს ჩვენი მთავრობის მიერ ნაწარმოები მოლაპარაკებანი, როგორც ბოლშე-
ვიკებთან ასევე თურქეთთან. თურქებთან ლაპარაკი ყოფილა ბათუმის მხარის თურქთათვის გად-
აცემაზე—იმ პირობით, რომ მენშევიკურ მთავრობას ბათუმში დარჩენის ნება მისცემოდა. და ყველა
ამის გარდა, კოსტავამ სახაროვის წიგნის შესახებ თავის წერილში ჩაურთო მოკლე განმარტება
მარქსიზმისა, რომლიდანაც ცხადათ ჩანს ქართველ პატრიოტთა მძაფრად ანტიმარქსისტული განწყ-
ყობილება. აი რომ ფრანც იმ განმარტებშიც: „მარქსიზმი თავად უღმერთობის მქადაგებელი, კლა-
სობრივი ზიზღის გამაღვივებელი და ამ გვალსაზრისით ტრალიტარსისთვის იმშუდა მატარებ-
ელი იდეოლოგიაა ცხადია მარქსიზმი მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოში თუ მოიკიდე-
ბდა ფეხს; მისი ფუძემდებელის აზრით, ძალადობა ხომ ისტორიის ბეჭია ქალია“.

ახლა კი გაჩუმიება ვერ შეძლეს და მენშევიკებმა დაძაბეს მათი არტიკლიდან გადარჩენილი
უკანასკნელი ქვეშის—ნოე ცინცაძე: რომ მიუხედავად რადიკალი მათთვის პასუხი გაეცა. (ცნობის-
ათვის: ამჯერად მას ჩემთვის არ დაუვალდება, მისი ტექსტი კარგი ქართულით თუ არა, წასაკითხ-
ად გამოსადეგ ქართულით გამომართა, როგორც იგი მრავალჯერის მოქცეულა). თავის გადაცემებში
მას სხვა საკითხთა შორის ულამაზესად „სწორ“ და „არასწორ“ მარქსიზმთა შესახებ და ცხადია
მის მიერ გაგებულთა მარქსიზმს დასახავდა გამართლებულად და მისაღებად.

საქართველოდან გამოძახილია არ დააყვანა. ამ გამოძახილის ფორმა პირველ წაკითხვისას
გაუგებრობას ბადებდა. სახელდობრ გაუგებარი იყო გამოთქმა „ჩოხატაურელი მარქსისტების“
ნამდვილი მნიშვნელობა, რადგან ამ სოფელს ვინმე ცნობილი მარქსისტი არ წარმოუშვია. საიდუმლო
მალე გაიხსნა: ჩოხატაური ცინცაძეთა სოფელია და იქ უფიქრნათ აღბათ ნოე ცინცაძეც იქაური
იქნებოდა—რაც სწორი არ არის.

ყოველივე ამის შედეგად ქართველ პატრიოტთა ბრძოლა და მისი სულისჩამდგმენი, მიუღე-
ბლად და არასასურველად იქცენენ მენშევიკურად პატრიოტთათვის. მათ არ მიუღიათ მონაწილეობა
ქართველ მამულიშვილთა დაპატიმრების გამო ემიგრაციაში გამოთქმულ პროტესტებში. ასევე უარო
თქმეს ფვანისა სიკვდილით დასჯის ასაცილებლად წარმოებულ ცდაში მონაწილეობაზე და ბოლოს
იმით დაასრულეს, რომ ფვანის სიკვდილით დასჯის წლისთავზე გადახდილ პანაშვილს ბოიკოტი
გამოუცხადეს.

ჰოი! როდინდელ შემზარავ ამბავს ვვაგონებს ეს. მოსკოვში ილიას პანაშვიდზე მი-
მავალ სტოღუნტებს ეკლესიის წინ ხვდებოდნენ და ეუბნებოდნენ „უთოვლი მოკლეს თქვენ რა
ტომ ვიდრე მის პანაშვიდზეო“. ნოე ცინცაძე იყო ერთი მათგანი.

ვიღერ ფვანის პანაშვილის უწყებებზე დაიგზავნებოდა, ბატონ სარჯველაძეს მივმართეთ, რომ
„ჩვენი დროშას“ რედაქტორსაც ხელი მოეწერა ბარათზე, რომელსაც ხელს აწერდნენ ემიგრაციაში
გამოცემულ სამი ეურნალის: ივერიას, ტრიბუნას და მერანის ხელმძღვანელთა გარდა, მეოთხე
აწ შეწყვეტილ ფედერალისტთა გამოცემის სახალხო საქმის ერთი ხელმძღვანელთაგანი ბატონი ნ.
ურუშაძე. ბატონმა სარჯველაძემ დამირეკა და მითხრა: ხელს ვერ მოგაწერ რადგან ჩვენ ტერორის
წინააღმდეგნი ვართ ისე კი თუ შევედელი მოვალე. კარგი მეთქი მოკლედ ვუპასუხე. რა უნდა მეთქვა
ამ კაცისათვის? რომ ფვანია ტერორისტი არც იყო, რადგან მის მიერ მოწყობილი აფეთქებები არც
არავის მოსაქლავად, არც რაიმეს დასანგრევად არ იყო მოხდენილი და რომ მათი მიზანი იყო
მხოლოდ საზოგადოებრივ აზრის გამოღვივება და ქვეყნის მოღალატეთათვის მშვიდი ძილის უარ-
ღვევა? ეს ყოველივე სარჯველაძემ უჩემოდაც იცოდა. თანაც ტერორის მოწინააღმდეგეობაზე
მელაპარაკებოდა ისეთი კაცი, ვინც იმ ხალხზე ლოცულობს, რომელიც წარსულში ისეთ უთავბოლო
და განუყოფიან ტერორს აწარმოებდა, რომ თავიანთ ტერორისტების მოქმედების კონტროლი დაპ-
კარჯა. რასაც საქართველოსათვის წარუშლელი სირცხვილი და ჩვენი ორიათასწლოვანი ისტორიის
უღიგესი ტრაგედია წინამართან ჩადენილი მკვლელობა მოჰყვა.

სარჯველაძე რომ პანაშვილს არ დაესწრობოდა სავარაუდოდ მაგრამ რომ ისინი ნამდ-
ვილ ბოიკოს მოაწყობდნენ და დღ აქეთიქით ტრეფოლით არცვას შეუდგებოდნენ ამას არავინ წარ-
მოიდგენდა. ამგვარად ჩვენს სათვალისკომში მყოფ შეგნებით თუ შეუგნებელ „სოვიეტოზანებთან“
ერთად, მენშევიკებმაც მიაფურთხეს დახვრტილ პატრიოტის ხსოვნას.

დაახლოებით ორმოცდაათ კაცში მხოლოდ ოთხი იყო იმათ წრიდან. ამათში ორი „საქმის კუ-
რსში“ არყოფნის გამო მვიდდა, ხოლო სხვა ორი მომწყობებთან პირადი დამოკიდებულების წყალ-
ობით დაესწრო პანაშვილს.



ასეთია პარისულ ქართულ ემიგრაციის სამწუხარო ვითარება. რას ნიშნავს ყოველ ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ შენ შევიკებმა წარმოსუდგენელი რამ წარმოიდგინეს. მათ იფიქრეს, რომ წარსული დაიწყებულა— მომავალი თაობა ჩვენი ავკარგის გამოძიებას არ დაიწყებდეს.

გარანა რა მოხდა წარსულში და რა ხდება დღეს?

ჩვენთა მამათა თაობამ მთლიანად აღებულმა უბატიებელი დანაშაული ჩაიდინა. მათ ხელიდან გაუშვეს შემთხვევა, რომელსაც ქვეყანას საუკუნის განმავლობაში უცდიდა. ისინი ვერ აღმოაჩინდნენ საჭირო სიმბოლეს, რომ ქვეყნისათვის მოველთ და უარსაც პირსა და განსაღებულში ჩაავდეს იგი. რაკ ავგვირის მთლიანად ჩვენ იმამების ბრალისა.

დღევანდელ საქართველოში იმ თაობის შვილის შვილები და მათი შვილები შეადგენენ აქტიურ მოსახლეობას. ახლა ისინი უცდიან შემთხვევას— გზებს ეძებენ და წარსულსაც სწავლობენ— გააკვირვებულნი არიან. ახლა ისინი უცდიან შემთხვევას— გზებს ეძებენ და წარსულსაც სწავლობენ— გააკვირვებულნი არიან. ახლა ისინი უცდიან შემთხვევას— გზებს ეძებენ და წარსულსაც სწავლობენ— გააკვირვებულნი არიან. ახლა ისინი უცდიან შემთხვევას— გზებს ეძებენ და წარსულსაც სწავლობენ— გააკვირვებულნი არიან.

ხოლო რას იპოვნის იგი ჩვენი მამების ნამოქმედარის კვლევისას? წარმოსუდგენულ დაუდევრობას, ინჰარტის, უფიცობას, ანტისახელმწიფოებრიობას და ლარობას.

იგი აღმოაჩენს, რომ ამ სამოცი წლის წინად ქართველი ერი რაღაც საშინელ სენით ყოფილა დაავადებული, რომელსაც მისთვის წაუტოხმევია ელემენტალური ბიოლოგიური თვისებები. იგი ნახსავეს, რომ ეროვნული შეგნება იმდენად პარალიზებული ყოფილა, რომ ერს კარგად მომდგარ თავის-უფლებიანათვის სიხარულით ხელი კი არ წაუვლია, არამედ ყოყმანს მისჩემია და „გადემოკრატებულ“ ყოფილ დამპყრობელის კვავად დაბრუნებას უცდიდა თურმე.

ისინი წაითხოხავენ ჩვენს დამოუკიდებლობის აქტში შეტანილ განმარტებულ ფრაზებს, რომლებშიც ჩვენი მამები იმას კი არ ამბობენ ამაყად: წარმომეულ უფლებებს ვიბრუნებთ ჩვენი სახელმწიფოს აღდგენას ვაცხადებთო, არამედ ყოფილ დამპყრობელის წინაშე ბოდისით ლულულდებენ: რა ვქნათ თქვენ ვეღარ გვივლით მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენ თავს უთქვენით მოუყაროთო.

ისინი ვაცხობილადენ მათთვის მესვეურთა პრესას და ნახავენ, რომ ქართულ სახელმწიფოს შენებაზე, სამშობლოზე, მამულზე, პატრიოტიზმზე, თავდადებაზე დასაყრდენად ერზე კი არ არის ლაპარაკი: არამედ— რევოლუციის მოწაპოვარზე, პარლეტარიატზე, სოციალისტურ სოლიდარობაზე, ინტერნაციონალურ ძმობაზე, რუსეთის დემოკრატიაზე და სხვა.

და ბოლოს ისინი გაიგებენ თუ როგორ სამარცხვინით დაკარგეს ჩვენმა მამებმა სამარცხვინო ფორმებში გამოცხადებული დამოუკიდებლობა. ისინი აღმოაჩენენ, რომ ჩვენ მიერ დღემდე ხმარებული ფრაზები: ვერაგული მტრის მოულოდნელი თავდასხმა; გმირული წინააღმდეგობა და ამჯავრები, ყოველ შინაარსსა და საფუძველს გამოცლილია. დოკუმენტური გაიგებენ, რომ თავდასხმა სრულიად არ იყო მოულოდნელი. იგი მოსალოდნელი ლოკური და აუცილებელი იყო. რომ ჩვენ მტრის სრულიად მოუშაადებლენი დავხვდით და რომ ჩვენი „გმირული“ ბრძოლის დროსასი კაცი სიცოცხლეს კი ვერ გავიმეტეთ.

ამ ჩვენს ისტორიაში უმეგალიყო კატასტროფის მიზეზებსა და პასუხისმგებლებს ხომ ძე-ბნას დაუწყებენ და რადგანაც ხალხი, ერი, თავისთავს კოლექტიურად დამნაშავედ არასდროს არ აცხადებს, ვანა სრულიად ბუნებრივი არ არის— დამნაშავეთ ისინი გამოაცხადდნენ ვისაც იმ დროს ერის ბედი ხელთ ეპყრა? ხოლო როცა ძიებას უფრო ღრმად ჩასდევნენ, იმასაც ხომ გამოარკვევენ რომ ზემოდ ნახსენებ ეროვნულ დასწეულების ბაცილების გამავრცელებლენიც ესე იგი ორგანიზაციის დამნაშავენიც იგივენი იყვნენ.

გრძნობა და კულტი მამაშვილობის, ნათესაობის, მეზობლობის, ერთგობობის, პირად პატივისცემა— სიყვარულის, ყოველივე ეს ეთიკოლოგიური საგნებია. მხოლოდ, მათი მოქმედების არე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოცემულ პირობებით არის შემოფარგლული. როდესაც ადამიანებს ერისა და სახელმწიფოს ინტერესებთანა აქვთ საქმე, ყველა ეს გრძნობები სხვა უფრო მაღალსა და ფართო შეგნებაში ჰქრებიან. როცა ასე არ ხდება, ეს პრიმიტიულობის ნიშანია— ერაგვარი გადმონაშთი გვაროვნულ წყნობილებიდან ადამიანთა ფსიქიკაში შემორჩენილი.

ეს ერთერთი ახსნაა ჩვენი მენშევიკების საქციელისა. ამგვარი ფსიქოლოგია პოლიტიკურ რეგენერაციის სახელსაც აიტანდა.

რა უნდა ვუყო: ამ ხალხს? შევიძლოთ? არა! კაცი რომ იმითომ შეიძლო აქაოდა უფროს არის რა გონიერება იქნება. ოჯახში რომ ღენჩი გამოერევა ვანა სძულთ იგი? არა! ეს ღვთისგლებები მაინც ჩვენი ძმები არიან. ბედმა გვარგუნა მათთან სიცოცხლე— მათ გვერდით დამარხვაც. მაინც უნდა გვიყვარდეს და გვებრალებოდნენ ისინი.



ჩვენს ბექდევითსა თუ რადიო პრესაში ხდება ხოლმე როდესაც მცდარი რამ ქვეყნდება. ეს მოვლენა გასაგებია, რადგან ერთი მხრივ ჩვენი პრესა დიპლემანტიზმის ნახელავია, მეორე მხრივ კი ერთი სათვის მცდარად მიჩნეული შეიძლება მეორისათვის სწორადა ჩნდეს. ამიტომ ერთმანეთის შეცდომათა გასწორებისაგან თავი უნდა შევიკავოთ. მაგრამ როდესაც შეცდომა ჯერ ერთი უღლოა და თანაც ისეთ საკითხებს შეეხება, რომელთა მიმართ ჩვენი პრესის დამოკიდებულებას წონის მქონე მნიშვნელობა აქვს, მაშინ აუცილებელია შეცდომა აღინიშნოს—რომ სიჩუმით, პასუხისმგებლობა ავტორის გარდა სხვასაც უკ დაეკისროს.

ერთ ასეთ შემთხვევასთანაა გვაქვს საქმე თავისუფლების ტრიბუნის ოცდამეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ წერილის „თახსუნთასი წლის წინანდელი გაკვეთილი“ ს გამო. ავტორი განაცხადებს რომ „შეშინების წამების წლისთავის ზეიმზე, საქართველოს აკადემიკოს პრეზიდენტს და ორ სომხე აკადემიკოსს მცდარი და არასწორი შეხედულება გამოუთქვამთ ამ ძველის მნიშვნელობაზე, სახელწოდებ—ქართველთა და სომხეთა მეგობრობაზე იქ არაფერია ნათქვამი და ამიტომ ამ ძველის ასეთი ინტერპრეტაცია მიუღებელია, იგი სომხე—ქართველთა მეგობრობას სარგებლობას ვერ მოუტანს სიმართლეს კი ავინებს და თავის წერილის ბოლოს მორალურ გაკვეთლს აძლევს საქართველოდაკადემიის პრეზიდენტს და ორ სხვა აკადემიკოსს: სიცრუე და ორპირობა ავინებს ხორაკა, მერე რ სულსაო.“

ძალიან სამწუხარაა რომ ჩვენს პრესაში ამგვარი რამ გამოქვეყნდა. დაიწყეთ იქედან რომ თუნდაც მცდარი იყოს აკადემიკოსთა ნათქვამი ჩვენ სიჩუმე გვმართებს და აი რატომ: რცა ავტორი წერს მეხუთე საუკუნის დროინდელ რუსულ—ქართული მეგობრობისაგერაფერი იპოვნეს და ქართულ—სომხურ მეგობრობაზე ილაპარაკესო, თუ აქ ქართულ—რუსული მეგობრობა სახსენებელი იყო—სულ სხვა მნიშვნელობით. რუსები ცდილობენ დაგვაჯერონ რომ მეგობრობა სწორედ მათ განახორციელეს და ჩვენ მაღლობენ უნდა ვიყვნეთ უფროსი ძმისა, რომელმაც მეგობრობა დაამყარა არა მართო რუსთა და ქართველთა შორის, არამედ კავშირის სხვა ერთა შორისაც და ამითში ქართველთა და სომხეთა შორისაც.

ამავე დროს იგივე რუსები ფარული ხვანჯების შემწეობით, ანტაგონიზმს აღვივებენ სომხე—ქართველთა შორის. ცნობილია რომ, საბედნიეროდ იშვიათად, მოაპოვებინ ისეთი სომხები, რომელნიც ანტიქართულად მოღვაწეობენ. მათი ნაწერები უმეტესად რუსულ გამოცემლობათა მიერ ქვეყნდება—რუსეთში, სომხების პასუხისმგებელი მცენიერული თუ პოლიტიკური წრეები ამგვარ მოქმედებას არ იზიარებენ.

და აი რუსების ცხვირის წინ, ქართველი და სომხი აკადემიკოსები საჯაროდ აცხადებენ და ხაზს უსვამენ სომხე—ქართველთა მეგობრობის ფაქტს ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში. ეს არის არც მტეი არც ნაკლები, ქ ა რ თ უ ლ — ს ო მ ხ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ე თ ე ბ ა — რ ო ს თ ა თ — ვ ი ს ა რ ა ხ ე ლ ა ყ რ ე ლ ი ს. ეს არის ცდა სომხე—ქართველთა მორიგებისა რუსთა უმისოდ და უკეთხავად. რცა კი შეუძლიათ სომხები და ქართველები იქ იღწვიან ქართულ—სომხურ პოლიტიკაში და სწორედ ასეთ შემთხვევასთანაა გვაქვს აქ საქმე ჩვენ. ამიტომ კიდევაც რომ უსაფუძვლო იყოს მათი მტკიცება, ჩვენს ინტერესს არ შეადგენს—იგი გავაყალბოთ. ასეთი რამ იქ დამსწრე რუსს შეუძლია ქნას—თუ ვულისნადებს გამოამყვანებს. და გარდა ამისა ჩვენ არ უნდა გადავღახოთ ჩვენი კომპეტენციისა და უფლების საზღვრები. ჩვენთვის პოლიტიკის კეთების სფერო შემოფარგლულია. იგი ვერ ვასცილებდა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებისათვის ზრძოლას. ი. ო. —ჩვენი სუვერენიტეტის მოთხოვნას. ხოლო აქედან ჩაბრება იქ ქართველთა მიერ ნაწარმოებ კარგად მიმართულ პოლიტიკაში და ისიც—მის შესაფერხებლად, ვერაფერი პოლიტიკაა, ამის უფლება რომ გვქონდეს კიდევაც. თქმა იმისა, რომ აკადემიკოსთა ნათქვამი ქართულ—სომხურ მეგობრობას სარგებლუ დას ვერ მოუტანსო, უსაბუთო და მცდარი განცხადებაა. იმის დამატება კი, რომ სიმართლეს ავინებსო პოლიტიკური მიდგომა არ არის. ცნობილია, რომ პოლიტიკაში მხარეთა შორის ყოველს „საკუთარი სიმართლე“ აქვს. რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკაში სიმართლე საკუთარ ინტერესთათვის გამოიყენება და არა პირიქით.

ხოლო რაც შეეხება აკადემიკოსებისადმი ისეთი ტონით მიმართვას, რომელიც ბავშვთათვის ქუთის დაწობებას ჰგავს, ეს არც ღამაზია, არც წესიერია, არც დასაშვებია.

რაც ითქვა საემარისია იმისათვის, რომ აღნიშნული წერილი შეცდომად და მიუღებლად ჩაითვალოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს შეცდომა საკითხის არასაკმაოდ შესწავლითარის გამოწვეული და ავტორი რომელიმე პრეზიდენტს არ მიმხლებოდა.

აკადემიკოსები, რა თქმა უნდა, არც ცდებიან, არც რასმე იგონებენ, მაგრამ შუშანიკის მარტვილობის რიგითმა მკითხველმა შესაძლებელია მათი ნათქვამის ილიუსტრაცია ამ ძეგლში ვერ დაინახოს—თუ იგი არ იცნობს იმ გარემოებასა და საერთოდ ისტორიულ-ეთნიკურ კულტურულ ჩარჩოს რომელიმედაც ჩანს მისთვის. ამ მხრივ ეს ძეგლი გამომავლის როლი წარმოადგენს. მრავალ ავტორთა ნაწარმოები დარჩება გაუგებრად, თუ მათი წარმოშობის სხვადასხვა გარემოებებსაც არ იცნობს მკითხველი.

ქართულ-სომხურ ურთიერთდაამოკიდებულებას 2500 წელზე უგრძესი ისტორია აქვს. საქართველოს არცერთ სხვა ერთად არ ჰქონია ისეთი ხანგრძლივი, მჭიდრო და ღრმა დამოკიდებულება—კონტაქტი, როგორც სომხებთან ჰქონდა— ყველა სფეროში. ამ ორი ერის ისტორია დასაწყისიდან დღემდე, კავკასიაში პირველობისათვის მჭიდროდ ერთსა და იმავეს იტოვებს. და ცხადია, ერთსადაიმევე გეოპოლიტიკურ სივრცის დასაფუძვლებლად მჭიდროდ ორ მიწობელ ერის წარსული მგვობრობის ეპიზოდებით მდიდარი ვერ იქნება. ამ რთულსა და გრძელ ამბავზე აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იყო სხვადასხვა პერიოდები, როცა ქართველები თითქმის მთელ სომხეთს დაეპატრონენ და ასევე იყო პერიოდები სომხეთის მძლავრობისა საქართველოზე. ამათთანავე საქართველოსთვის ყველაზე უფრო მისი ის დრო იყო, როცა ჩვენი ქვეყნის სომხებს ისე ჰქონდათ გამორჩეობა, როგორც მარწყვები, — რადგან დასავლეთის მხრიდან ტაოს, კლარჯეთისა და კანეთის ნაწილსაც ჰქონდათ და შავ ზღვამდე გასვლისათვის მცირედაც აკლდნ ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან პერეთი და მდევანდელი ქიზიყი ჰქონდათ დაპყრობილი და ამასთანავე მტკვრის მარჯვენა მხარისი თითქმის მთლიანად მათ ეკავათ. ასეთი დიდი ტერიტორიების დაკავება, საუკუნეთა განმავლობაში პყრობა და შემდეგ უკუქცევა და დაკარგვა, მგვობრობის პირობებში ხომ არ მოხდებოდა, ამიტომ ძლიერ იშვიათია ისეთი პერიოდები, რომელთაც ქართულ-სომხური მგვობრობა შეიძლება დაერქვას.

რას წარმოადგენდა ჩვენთვის საინტერესო დროს ცურტავის საპიტიაშხი ანუ ქვემო ქართლი იგივე გუგარქი? გუგარქი სომხეთშია ქართლს ჩამოაპრა ქრისტეს წინ მეორე საუკუნეში და ქართლში იგი მხოლოდ ხუთი საუკუნის შემდეგ დაბრუნდა 387 წლის სპარსეთ საბრძნეთის ზავის შედეგად. როგორც ვხედავთ ეს მხარე ასე წლის დაბრუნებული იყო, ზუთას წლის განმავლობაში სომხთა ხელში ყოფნის შემდეგ. იგი ქართლის სამეფოში შემოდიოდა მაგრამ ჯერ კიდევ უფრო სომხური იყო ვიდრე ქართული— ეთნიკურად და კულტურულადაც. გუგარქში სომხური ენა იმდენად იყო გაბატონებული, რომ ჩვენი ისტორიკოსები წერენ: „ქართული ენა შეექცა—მეფიციე საუკუნოებში ფართოდ ვრცელდებოდა ქართლის ეთნიკურად ისეთ ჭრულ კუთხეშიც, როგორც იყო ცურტავის საპიტიაშხი.“ (მოყვანილი ყველა ცი ტატა ამოღებულია აკადემიკოს მელიქიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიის რედაქციონის მეორე ტომიდან). თუ ქართული ენის გუგარქში გავრცელების პერიოდში შეეცვლა მეფიციე საუკუნეზე მოდის, რა მდგომარეობა უნდა ყოფილიყო მხუთე საუკუნეში. თვით ვარსკენის ოჯახიც არ იყო იმდენად ქართული, რომ, როგორც ტრიბუნა შერება, შუშანიკს ქართული ოჯახის დედა ვუწოდოთ. ეს ოჯახიც სომხურ—ქართული იყო. ვარსკენის მამის, არშუშა პიტიაშხის ქარზე გაიზარდა ვარსკენთან ერთად, ცნობილი სომხები ისტორიკოსი ლაზარე ფარბეცი, რომლის თხზულებამ შემოგვინახა ყველაზე უფრო საინტერესო ცნობები იმდროინდელ გუგარქის ვითარებაზე. საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ მამინდელი ქართლი ჯერ კიდევ ჩამორტეობდა სომხეთს— კულტურულად და სახელმწიფოებრივ განვითარებაშიც.

როცა ტრიბუნა წერს სომხები არსად ჩანან ნაწარმოებში, სწორი არ არის. დღეს ყოველად შეუძლებელია გამოცნობა თუ ვინ ქართველი იყო და ვინ—სომხები, იმ პირთა შორის, რომელთაც ნაწარმოებში ვხედავთ. გუგარქში ქართული და სომხები მდებარეობდა თანაბრად მოღვაწეობდნენ ეკლესიებში და ქართულ-სომხური საწერებრივი თავისუფლად დადიოდნენ ერთმანეთის საყრდენებში. ცურტავში დამოწმებულია როგორც ქართველი, ვართვე სომხები ეპისკოპოსთა მესაყდრეობა.

ხოლო საერთოდ პიტიაშხთა შესახებ აი ციტატა: „რაც შეეხება ქვემო ქართლის პიტიაშხებს, ეტყობა ამათი ტიტული იმ ტრადიციულად იყო დამყარებული როცა ეს კუთხე ჯერ კიდევ სომხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ამ პიროვნების მმართველები... სომხურად „ბღეშხის“ წოდების ატარებდნენ. აქ დასათვალისწინებელია მათი—ამ პიტიაშხთა ჩამამავლობაც სპარსთა მეფის პიტიაშხისაგან“.

ვარსკენი, რომელმაც პოლიტიკური ამბიციებით თავისი ნებით უარსკენის კრისტოანობა, შამხა საქართველოში გამოუშვა ხოლო ვახტანგ გორგასალი კი თავისთანვე დაიტოვა, რომ ვარსკენს ხელი გახსნილი ჰქონდა სამოქმედოდ. ვარსკენი აპირებდა— მისი სამფლობელო ქართლის მეფის მორჩილებიდან გამოეყვანა და გუგარქი უშუალოდ სპარსეთის პროვინციად ექცია. და აქ იწყება შუშანიკის ღდაცა. დაუყოფელი ყური ისტორიას.

„შუშანიკის წიგნი მიერ სარწმუნოების გამოცვლაში პირველ რიგში ირანულთა პოლიტიკური ბატონობის დამკვიდრებისათვის ხელისშეწყობას ხედავდა.... შუშანიკის მიერ ქმრის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლება გავიგოთ როგორც ერთი ოჯახის ღრმა, იგი უშუალოდ

მეპატივისცემის მიხედვით საუკუნის ქართლის საერთო პოლიტიკურ ვითარებას. მუშაინიკი... ანტირანულ
ჯგუფის სულიწამდგმელი და ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლთათვის საპატიო მაგალითია... მებრძოლ
სქენის და მუშაინიკის დამოკიდებულება შორს გასცდა ოჯახური დრამის ფარგლებს და სასოგად-
ოებრივი მნიშვნელობა მიიღო.

ჯობდა ჩვენ ისტორიოგრაფიის მიერ მოცემულ ამ ინტერპრეტაციას გაცნობოდა წერილის ავტორი
და მერმე მოეცა თავისი ინტერპრეტაცია.

ძლიერ და უღმრთელ ქმართან შებრძოლებული მუშაინიკი ფიზიკურად დამარცხდა, მაგრამ ამა-
სობაში ვახტანგი დაბრუნდა სპარსეთიდან და ფიზიკურად სუსტ მაგრამ სულით ძლიერი ქალის მიერ
დაწყებული ბრძოლა განაახლა. გორგასალში სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების ციციხეში ანთა.

აჯანყება ფაქტიურად მუშაინიკის ქმრის ვარსკენის მოკვლით დაიწყო.

პირველ შეტაკებაში განცდილ მარცხისა გამო ვახტანგმა სომხეთს შეატარა თავი. მეორე ცდა უფრო
დიდი მასშტაბით მოხდა. ვახტანგს მოეხმარა მუშაინიკის მამიულ ოჯახის შვილი ვაჰან მამიკონ-
იანი, რომელიც როგორც 450 წლის აჯანყების ვიწრო მუშაინიკის მამა, აგრეთვე სომხეთს ჯარის
სარდალი იყო. ამ ომის ისტორია ძლიერ რთულია. ვახტანგს ჰუნების ლაშქარი უნდა მოსვლოდა
მეგრად ჰუნების ცოტანი მოვიდნენ. ბრძოლა შინც მოხდა - ჰარმანიანის ველზე ტფილისის აღმოსა-
ვლეთით მტკვრის ნაპირას ვარდაბნის მხარეში. ქართულ-სომხური გაერთიანებულ ლაშქარი დამ-
არცხდა. ვახტანგი დროებით ეგრისში გაიხიზნა.

აი როგორი კავშირია მუშაინიკის მარტივობასა და სომეხ-ქართველთა მტკვრის მხარის
და ეს მტკვრის მხარე გაგრძელდა. რამდენიმე ათეულ წლის შემდეგ, ისევ მამიკონიანმა, რომელსაც
მუშაინიკის მამის სახელი ვარდენი ერქვა, კვლავ აჯანყება მოაწყობა ირანელ წინააღმდეგ და ამჟ-
ამად მას ქართლის მეფე გურგენი მიეშველა. (ამ დროს ვახტანგი მოკლული იყო).

როგორც სურათი გვეჩვენებს თვალწინ: იმ საფრთხის წინაშე, საუკუნეთა განმავლობაში ბრძ-
ოლის საგანი გუგარკი სპარსეთის პროვინციად რამ არ გადაქცეულიყო, ქართველებსა და სომხებს
გვერდიგვერდ უბრძოლიან. ამ ბრძოლის დროს სომხები შერიგებულნი ჩანან, რომ გუგარკი რომელ-
საც, უნდა ვიცოდეთ, მაშინდელი სომხები განიხილავდნენ ვით ქართლში მოქცეულ სომხურ პროვ-
ინციას, ქართლს დარჩენილად; რომ ამ ბრძოლის რიგით პირველი ვიწრო სომხები ქალია - ეთნიკურად
და კულტურულ-ენობრივად უფრო სომხურის ხოლო პოლიტიკურად ქართული პროვინციის დედოფალი.

ამ ჩარჩოში ჩასმულად უსაღებმა ეს ძველი. არ შეიძლება თქმა: ეს ამბავი წამებაში არ წერიაო.
მუშაინიკის მარტივობა წერია ამ ამბავში, იგი ამ დიდი ამბის დასაწყისი ეპიზოდია. აი რას
ეგრდნობოდა სამ აკადემიკოსის განცხადება.

რაც შეეხება ტრიბუნაში ნათქვამს: სომხები სულმანო, ესეც შეეძლება. ეს ძველი რომელიც
ტრიბუნას თქმით წმინდა მარტროლოგიური ნაწარმოების სინამდვილეში ერთადერთი ეროვნული
წყაროა მეფეთუ საუკუნის მეორე ნახევარს ქართლის ისტორიისათვის..... საკუთრივ საპარსო-
ნად ითვლება უძველეს დიდმნიშვნელოვან საისტორიო თხზულებად და იგი არსებობს სომხურ ვა-
რიანტშიც. კარგახანს დავა წარმოებდა - რომელი რომლისგან მომდინარეობსო. ბოლოს დამტკიცდა,
რომ ქართული ვარიანტი პირველია და რომ სომხური მისგან არის თარგმნილი, მაგრამ უფრო
ვრცელია. საერთოდ სომხურად ვრცელი ლიტერატურა არსებობს მუშაინიკის რომ შეეხება - ახალი
და ძველიც.

მუშაინიკი სომხეთათვის ისევე წმინდანია როგორც ქართველთათვის, - იმ განსხვავე-
ბით, რომ მისი თავიანთი სომხეთა შორის უფრო გავრცელებულია ფართო ფენებში, ვიდრე საქა-
რთველში. ჩვენის მას არც კი იცნობენ. სახელი მუშაინიკი სომხებში ისევეა გავრცელებული, როგ-
ორაც ჩვენშიც. - ნინო და თამარ, სომხური ლიტერატურა იმასაც კი შეეცადარომ მუშაინიკი ქართ-
ველებსათვის „წაერთმია“ და თავიანთად გამოეცხადებია.

უკვლამ ამ მონათხრობს აბზეთთან კონტრასტის საჩვენებლად ვნახოთ როგორი იყო ქართულ-
სომხური დამოკიდებულება, ჯერ მუშაინიკის ეპოქის წინანდელ და შემდეგ მომდევნო ხანაში.

მეფოთხე საუკუნის სამოციან წლებში სომხეთის მეფეს აუჯანყდა რამდენიმე დიდებული და
მათ შორის გუგარკის პიტიაშხი. იგი განუდგა სომხეთის მეფეს და თავისი სამფლობელო ქართლის
მეფეს დაუმორჩილა. სომხეთის სპასპეტმა მუშელ მამიკონიანმა ურჩი პიტიაშხის დასაჯლებლად
ქართლზე გაილაშქრა და გუგარკი სომხეთს დაუბრუნა ამ ამბავს ფაქტოს ბუზანდი შემდეგნაი-
რად აღწერს: დაიძრა სპასპეტი მუშელი ქართველთა მეფეზე, დიდად შეავიწროვა იგი. დასცა ის
ქვეყანა. დაიპყრო მთელი ქართველთა ქვეყანა. მახვილს მისცა ყოველნი აზატნი და ნახარაბთა
(ანესართა) გვარნათორიელნი ნახა. სპასპეტმა მუშელმა ბრძანა ფარნავაზიანი ჯვარსცივათქარ-
თის ქვეყანაში, ხოლო გუგარკის ბედში რომელიც წინად მახუბრობდა სომხეთის მეფეს და აუჯ-
ანყდა მას, შეიპყრა და თავი მოჰკვეთა მისი ვაჟები ამოწყვეტა ხოლო ცოლები და ასულნი ტყ-
ვედ წაასხა. ასეთი იყო ხანა რომელიც ჩვენთვის საინტერესო ეპოქას წინუსწრებდა.



ახლა ვნახოთ რა მოხდა შუშანიძის შემდგომ ხანაში. მიექვსე საუკუნის ბოლოსათვის ქართველები იყო მოღონიერდნენ გუგარქში ყოველ სფეროში, რომ სომხებმა თავიანთი პოზიციების თანდათანობით დაკარგვა ვერ აიტანეს და სარწმუნოებრივ, კულტურულ, ენობრივ და სხვა კონფლიქტებს ის მიჰყვა, რომ რაკი ვერას გახდნენ, სამხეთის ეკლესიამ ქართველები დასწყევლა და როგორც ამბობს ჯავახიშვილი: „ამირიადი და ქართველთა და სომეხთა შორის ის სარწმუნოებრივი კავშირიც გაქრა, რომელიც წინა დროებდა... პოლიტიკურ-კულტურულ გეზისა და სიმბატიების გაყრასთან ერთად მათი სარწმუნოებრივი სარბიელის გზებიც ერთმანეთს დაშორდნენ“.

უფრო გვიან: „მეცხრე საუკუნის ბოლოს აშოტ ბაკრატუნმა გუგარეთი დაიპყრო. სომეხი ბატონების ფართო ზრახვები ამიერკავკასიაში პირველობას რომ ისახავდა მიზნად, ქართლის დაუფლებას სასურველს ხდოდა.“

ყოფილი გუგარქის პროვინციის ერთი ნაწილი დღეს საქართველოს ფარგლებშია მეორე კი — სომხეთისაში. ამავე მიწაწყალზე საზღვრების იქეთ თუ აქეთ გადაწვევისათვის მოხდა სომეხ-ქართველთა ომთა ჩვენი დამოუკიდებლობის დროს. ამ პრობლემასთან დაკავშირებულნი ქვეყნის დღესაც არ ვამქრალან. და როდესაც ჩვენი ერის და სომეხი ერის აკადემიკოსები ამ მიწაწყალზე მომხდარ მებრუნ საუკუნის ამბავს ქართულ-სომხურ მეგობრობასთან აკავშირებენ, თუნდაც ლიტერატურულ ძეგლის იუბილე-ზეიმზე, მათი პირიქი საქართველო და სომხეთი ლაპარაკობენ — უფრო მეტის უფლებამოსილებით, ვიდრე ჩვენა გვგონია. ისინი ამ შემთხვევაში არც რეჟიმის წარმომადგენლებია არც დაპყრობილი ერთა შეილები. ისინი იმ ქართველთა და სომეხთა შთამომავლები არიან ხარისხით ზღვებთან ერთმანეთს რომელიც ამ მიწისათვის ოფლი და სისხლი უღვრიათ. ნუ ჩავერვით, მათ დილაღს ხელს ნუ შეუშლით.

იმედი მაქვს რომ ამ შესწორებას საწყენად არ მიიღებს ტრიბუნას რედაქტორი ბატონი წერეთელი რომლის მოქმედება და ყურნალისტური მოღვაწეობა საქებრად მისაჩნევია.

ჩვენი ემიგრანტული პრესისათვის უმჯობესია, რომ ჩვენი შეცდომები ჩვენვე ვავაწოროთ — სანამ სხვები დაგვიცინებდნენ. ჩვენ თუ ენის ცუდათ ცოდნაში ან „მეცხრამეტე საუკუნის დონ-ეზე“ წერაში დაგვიპერენ, ეს ნაკლებად სათაკილოა. საქმე ის არის მცდარ აზრების გამოთქმაში და დაუსაბუთებელ მსჯელობაში არ დაგვიპირონ საჯალალო არ იქნება რომ ბოლშევიკებს საბაბი მივცეთ — ჩვენი უმართებულო თავდასხმისაგან დაცივან ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი? ამას უდარაჯებენ ყურნალისტთა საყულოთი დაბმული გაწრთვნილი ნაგაზები, რომელთაც ამისთვის ინახავენ გეშავენ და სალაფავსაც საძლიმად აძლევენ.

მ. კ-ძე

ANDRE BARKALAYA
DES CONQUERANTS IMPREVUS

ასეთი სათაურით არის გამოცემული LA PENSÉE UNIVERSELLE — ის მიერ ჩვენი თანამემამულე ანდრე (აკაცი) ბარკალაიას რომანი რომელიც SCIENCE FICTION — ის ჯგუფს მიეკუთვნება და როგორც ასეთი, ღირსია მისი ადგილი დაიკავოს მსგავს ნაწარმოებთა შორის. რომანში მოთხრობილია თუ, მიწის წიაღში მცხოვრებმა ძლიერ დაწინაურებულმა ადამიანებმა როგორ გადააკეთეს მიწაზე მცხოვრებთა ყოფა და როგორ დაამყარეს ბედნიერი და სამართლიანი ცხოვრება. ამგვარ პლანეტურ რომანში რა უნდა იყოს ქართული ავტორის სახელის გარდა? თუ წაიკითხავთ სიურპრიზი მოგვლით. აი ერთერთი სურათი მიწიერ ბედნიერებისა: სამეგრელოში — საქართველოს კოლხიდაში, მონურ კოლხოთა ნაცვლად გამოჩნდნენ საცხოვრისთაგან საპირო მანძილზე დაშორებული წინაპრული სამზადები, სადაც მიწურ იატაკის შუაში გამართულ კერაზე დადარში ცხვებოდა ქვეყნად უგემრიელიესი ხაჭაპურები, ხოლო ზევით ნაქას გარშემო დაკიდებული სულუგუნები იკავამებოდა.

რომისა და ტეხურისპირის სოფლებში შედამებისას კაშკაშა ცის ქვეშ, ბედნიერ მზრთმელთა ცეკვა-სიმღერის ხმა გაისმოდა. ადამიანები ბედნიერ ცხოვრების გემოთი ხარობდნენ — რომელსაც მათ ბარკაიანი მიწა და ცითნაკურთხი ჰავა აძლევდა. მალე კი თოვლიან ცაამბჯენთ შორის, მწყემსის სალამური აფრქვევდა ჰანგებს — ჰანგებს მომავალი ეპოქის სიღრმედან.

გვლახ რომ ამ სურათის სურნელება ფრანგ მკითხველისთვის დაკარგულია და შეუცნობია კუმენა შიგ დამარხული. ქართველი კი იფიქრებს: „ამის მეტს რას ინატრებდა კაცი მისებრ დანაბადი“.



ქართულ ეკლესიაში შაბათს გადახდილ წირვის შემდეგ, საზოგადოებამ დაათვალიერა იქვე მოწყობილი გამოცემა, შეერთებულ შტატებში მცხოვრებ პროფესიით მუსიკანთმცოდნე და ამჟვე დროს მოქანდაკე ბოცო კორიშელის ქანდაკებებისა. იგი შვილია კომუნისტების მიერ დახვრტილ საკმაოდ ცნობილ მსახიობის კორიშელისა, რომლის ნამუშაოები გვარი ჩიკვინიძე იყო.

გამოცენაზე წარმოდგენილი იყო თექვსმეტი ექსპონატი: მარმადილო, კირქვა და გრანიტში გამოთლილი ფრინველები, ყვავილები და სხვა. განსაკუთრებითი ყურადღება მიიპყროძლიერ ორიგინალურმა, ნატურალური სიდიდის ზღვის ლომმა. ეს გამოცენა ფრიად საამის სიურპრიზი იყო იქ დამსწრე პარიზელ ქართველთათვის.

ქართული დროშა უცნობ ჯარისკაცის საფლავთან.

შაბათს ოცდაექვს მაისს დამოუკიდებლობის დღესთან შეთავსებით, ქართველ მებდართა კავშირმა მონაწილეობა მიიღო ტრიუმფალურ თაღქვეშ ბრანჯი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მუდმივი ცეცხლის გადავრებაში. გვირგვინის დადების დროს სხვა ფრანგულ დროშებთან ერთად ქართული დროშაც დაიხარა.

საღამოს კი ეკლესიაში გადახდილ იქნა საზეიმო წირვა-პარაკლისი. ოცდაექვს მაისის ზეიმში.

წლიგანდელი საზეიმო კრება და დღესასწაული გაიმართა მეთოთხმეტე უბნის მერიის საზეიმო დარბაზში ცხრამეტე მაისს. თარღის ამგვარად გადმოწევა ჩვენი დამოუკიდებელ მიზეზით მოხდა—ადგილობრივი არჩევნები, უქმეები და სხვა.

წლიგანდელი ზეიმი მის წინამორბედთაგან ერთი თავისებურებით განსხვავდებოდა—არტისტულ პროგრამას, ცეკვები და სხვა, ასრულებდენ თითქმის უკლებლივ, აქ დაზადებულ ქართველთა შვილები, რაც განსაკუთრებულ განწყობილებას ბადებდა დარბაზში.

სამგლოვიარო.

გარდაცვლილთა ნათესავ-მეგობრებისადმი სამძიმარის თქმასთან ერთად, მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში გარდაიცვალნენ პარიზში: შალვა შავლაყაძე; ნიკო გელაშვილი; მიხეილ ნასყიდაშვილი; ვანო ენუქიძე; გიორგი გვაზავას მეუღლე ნინო ჩერქეზიშვილის ასული; რიმა ერისთავი; ლეო კერესელიძე; მარტიანე მგელაძე; ფოთეფინა სკანკოჩიშვილი. სამხრეთ საფრანგეთში— ალექსანდრე გამყრელიძე; ლონდონში—ყოფილი იუნკერი მამორი გომრგი ჯავახიშვილი; სოლოში— იასონ შავდია.

არგენტინაში მყოფი ქართველები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ოცდაერთ აპრილს ქალაქ ლა პლატა—ში გარდაიცვალა ყოფილი იუნკერი, პოლემეთის ჯარის ბატალიონის მეთაური გიორგი მრეღაშვილი. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოუთქვამს ბატონ გიორგი ნაკაშიძეს.

ფურნალის ფონდი.

შემომწირველთა სია (ფრანგული ფრანკები)

გულნარა პატარიძე ურატაძისა —სამასი; მ. ბეგიაშვილი ორასი; ოთარ პატარიძე—ორასი; ალ. აბაშიძე—ორასი; აკ. ხარკაღია—ასი; აკ. შავგულძიძე—ასი; არჩილ მჭედლიშვილი ასი; ირაკლი მჭედლიშვილი—ასი; თ. ანთაძე—ასი; ირ. ჯაფარიძე—ასი; თამარ პატარიძე—ასი; ბერეკიანი—ორმოცდაათი; ხვადასხვა—ორმოცდაათი — უღრმესი მადლობა რედაქციისაგან.

სარედაქციო კოლეგია: გივი გაბლიანი, გივი ზაღდასტანიშვილი, შალვა კალანდაძე, გულნარა პატარიძე ურატაძისა, მიხეილ ქავთარაძე (ტექსტის და გამოცემის რედაქტორი).

DIRECTEUR D. PATARIDZE.

ADRESSE D'EDITEUR: MICHEL KAVTARADZE 6 1 CHEM. DE TABOR 91 310 LINAS /TEL .901 47 81

HORS COMMECE IMPRINE PAR NOS PROPRES MOYENS